საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია მონაცემთა ბლოკის დაშიფვრის კრიპტოგრაფიული ალგორითმი, რომელშიც გამოიყენება ბიტების გაბნევისა და შერევის ორიგინალური მეთოდი. ალგორითმი სიმეტრიულია და იძლევა 1024 ბიტის შემცველ მონაცემთა ბლოკის დაშიფვრის საშუალებას შემთხვევითი ხასიათის მქონე 64 რაოდენობის თექვსმეტბიტიანი გასაღებების გამოყენებით. პირველი საიდუმლო გასაღები  $Z_1$ , რომლის მნიშვნელობა უცნობია მომსახურე პერსონალისათვის, ფორმირდება ალგორითმში მოყვანილი გარკვეული პროცედურების შესრულების შედეგად, ხოლო შემდეგი გასაღებების შემადგენლობები განისაზღვრება  $Z_{i+1}=D_i \oplus Z_i$  ( $i \in N, i = 1 \dots 64$ ) გამოსახულებით, სადაც  $D_i$  ღია ტექსტის 16 ბიტიანი სიტყვაა. შემდეგ ხდება ორი ბიტის შემცველი  $D_i$  ინფორმაციის შეცვლა  $Z_{i+1}$  გამოსახულებით და ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შემავალი ბიტების გაბნევა ალგორითმის მიხედვით. ყოველი შემდეგი 1024 ბიტის შემცველი მონაცემთა ბლოკის დაშიფვრისას პირველ საიდუმლო გასაღებს წარმოადგენს წინა ციკლის  $Z_{65}$  გასაღები. კორპორაციული ქსელის კავშირის ხაზში არ გადაიცემა დაშიფვრის პროცედურებში მონაწილე არცერთი პარამეტრის ნამდვილი მნიშვნელობა. ეს ალგორითმი გამოიჩინა კრიპტომედევობით და მაღალი სწრაფქმედებით.

**საკვანძო სიტყვები:** შედგენილი შიფრი. სიმეტრიული ალგორითმი. ეილერის ფუნქცია. ჭადრაკის დაფა. საიდუმლო გასაღები. კრიპტომედევობა. სწრაფქმედება.

### 1. შესავალი

შედგენილი შიფრები, რომლებიც მიიღება დასაშიფრ ღია ტექსტში შემავალი სიმბოლოების შესაბამისი ბიტების გაბნევისა და შერევის პრინციპების ერთობლივი გამოყენებით, ღია და დაშიფრული ტექსტების სტატისტიკური თვისებების ურთიერთკავშირების აღდენას ართულებს იმ დონემდე, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება დაშიფრავი საიდუმლო გასაღების მნიშვნელობის დადგენა მისი ცალკეული ნაწილების ცოდნის შემთხვევაშიც კი.

შედგენილი შიფრები გამოიყენება ისეთ კრიპტოალგორითმებში, როგორცაა: DES, IDEA, RC2, RC5, SAST, AES და სხვა ბლოკური ალგორითმები. ამ ალგორითმების „გატეხვა“ შესაძლებელია დაშიფრავი გასაღების ყველა მნიშვნელობის სრულად გადარჩევის გზით. ცხადია, რომ, რაც უფრო დიდია გასაღების სიგრძე, მით უფრო ძნელია ყველა შესაძლებელი ვარიანტის გადარჩევა. თანამედროვე ეტაპზე ბაზარზე გამოჩნდა FPGA და ASIC მიკროსქემები, რომლებსაც შეუძლია გასაღების მნიშვნელობების გადარჩევა, შესაბამისად 30 და 200 მილიონი ვარიანტი/წამისიჩქარით. ამასთან ამ მიკროსქემების ღირებულება შეადგენს რამდენიმე ათეულ დოლარს. დიდი ბიუჯეტის (10 მილიონ დოლარამდე) მქონე კორპორაციებს შეუძლია DES ალგორითმის, რომლის გასაღების ყველა მნიშვნელობათა რაოდენობა  $2^{56}$ -ის ტოლია, „გატეხვა“ FPGA და ASIC მიკროსქემების გამოყენებით 13 საათში, ხოლო სუპერ კომპიუტერების საშუალებით კი 6 წუთში [1]. ამის გამო DES სტანდარტის ნაცვლად გამოიყენება AES სტანდარტი, რომლის საიდუმლო გასაღების სიგრძეა 128, 192 ან 256 ბიტი, ხოლო დასაშიფრი ბლოკის კი 128 ბიტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კორპორაციულ ქსელებში გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალობის შესანარჩუნებლად ისეთი სიმეტრიული ალგორითმის შემუშავება, რომელიც მუშაობს გაცილებით დიდი გასაღებით და ამასთან გამოიჩინა მაღალი კრიპტომედევობით.

2. ბირთადი ნაწილი

შემუშავებული სიმეტრიული კრიპტოალგორითმით ხდება 1024 ბიტის შემცველი მონაცემთა ბლოკის დაშიფვრა. დასაშიფრი ინფორმაცია იყოფა 64 ჯგუფად ( $64 \cdot 16 = 1024$ ), თითოეული 16 ბიტისანი (ორ ბაიტისანი) ჯგუფი იკრიბება ორის მოდულით დაშიფვრავ 16 ბიტისან გასაღებთან და მიღებული 16 ბიტი ნაწილდება  $8 \times 8$  განზომილების მქონე 16 იდენტურ მატრიცაში (თითო ბიტი თითოეულ მატრიცაში). 64 პოზიციის დასანომრად პირობითად ავირჩიეთ ჭადრაკის დაფაზე (ნახ.1) მხედრის შემოვლის ჩაკეტილი მარშრუტი (მხედარი შემოვივლის ყველა უჯრას და, ამასთან,

8	37	62	43	56	35	60	41	50
7	44	55	36	61	42	49	34	59
6	63	38	53	46	57	40	51	48
5	54	45	64	39	52	47	58	33
4	1	26	15	20	7	32	13	22
3	16	19	8	25	14	21	6	31
2	27	2	17	10	29	4	23	12
1	18	9	28	3	24	11	30	5
	a	b	c	d	e	f	g	h


იგი თითოეულ უჯრაზე მხოლოდ ერთხელ მოხვდება), რომელიც აღმოაჩინა ცნობილმა მათემატიკოსმა ლეონარდო ეილერმა 1759 წელს [2,3]. ამ სურათიდან გამომდინარე მარშრუტის დასაწყისად შეიძლება ნებისმიერი უჯრის აღება. მაგალითად, თუ შემოვლის მარშრუტი სტარტს აიღებს 38 ნომრის მქონე უჯრიდან, მაშინ მარშრუტი დამთავრდება 37 ნომრის უჯრაზე (ნომრის მატებით გადაადგილებისას) ან 39 ნომრის უჯრაზე (ნომრის კლებით გადაადგილებისას).

ნახ.1.

16 ბიტის განაწილებისას ბიტების ნომრები შეიძლება არ დაემთხვეს მატრიცების ნომრებს, რადგან დაშიფვრის ალგორითმში გამოვიყენეთ მატრიცების განლაგების არჩევის 128 შემთხვევითი ვარიანტი (ვარიანტების საერთო რაოდენობა  $16!$ -ის ტოლია). კერძოდ, შევადგინეთ მატრიცების განლაგების 8 ქვეჯგუფი, თითოეული 16 ვარიანტით. პირველ ცხრილში ნაჩვენებია სამი ქვეჯგუფი ( $\aleph_0$ ,  $\aleph_2$  და  $\aleph_6$ ). დამუშავებული ალგორითმი ხასიათდება სიმარტივით და მაღალი კრიპტომედრობით (თითოეული 1024 ბიტისანი ბლოკი იღებს  $2^{1024}$  რაოდენობის მნიშვნელობიდან ერთ ერთს). დაშიფვრა სრულდება შემდეგი ორი ოპერაციის შესრულებით:

1. ორი ბაიტის შემცველი  $D_i$  ინფორმაციის შეცვლა  $Z_{i+1}$  გამოსახულებით, სადაც  $Z_{i+1}$  დაშიფვრის გასაღებია და  $Z_{i+1} = D_i \oplus Z_i$ . ამასთან, პირველი ციკლის (პირველი 1024 ბიტის დაშიფვრა) დასაწყისში  $Z_1$  გასაღები არის საიდუმლო  $Z_0$  გასაღები, ხოლო ყოველი შემდეგი ციკლის დასაწყისში კი წინა ციკლის  $Z_{65}$  გასაღები;

2.  $M_i$  ბლოკებში შემავალი ბიტების განაწილება 16 მატრიცაში და შემდეგ დაშიფვრული მიმდევრობის წაკითხვა. რადგან ყველა მატრიცა შეიცავს 128 (0-127) სტრიქონს და 128 (0-127) სვეტს, ამიტომ დაშიფვრის ყოველი ციკლის ბოლოს თითოეულ მატრიცაში ჩაწერილი 64 ბიტის წაკითხვა შეიძლება განხორციელდეს სტრიქონების ან სვეტების მიხედვით დაწყებული ნებისმიერი სტრიქონიდან ან სვეტიდან (ნახ.2), ამასთან, წაკითხვის პროცედურა შეიძლება შესრულდეს როგორც ნომრის მატებით, ისე კლებით.



ნახ.2

თითოეული მატრიცისათვის საწყისი პოზიციის (საწყისი ნომერი) და მატრიცაში ბიტების განაწილების მარშრუტის (ნომრის მატება ან კლება), მატრიცების განლაგების ვარიანტების (ქვეჯგუფისა და სტრიქონის ნომრის), სტრიქონების ან სვეტების მიხედვით წაკითხვის რეჟიმის, წასაკითხი სტრიქონის ან სვეტის საწყისი და შემდეგი ნომრის (მატება ან კლება) არჩევა ხდება პროგრამულად ციკლის დასაწყისში  $Z_1$  გასაღების შემაღვენლობიდან გამომდინარე.

ცხრ.1

ძვევეპუვიონი№	პარიანტიონი№	მატრიცევიონიშიმღვიპრობა
0	0	8,14,9,3,12,15,5,1,11,16,4,6,13,10,7,2
	1	14,1,16,8,2,9,4,3,11,13,6,12,7,10,5,15
	2	3,5,9,14,11,2,16,10,4,15,7,13,12,6,8,1
	3	11,1,5,12,16,9,14,2,6,15,3,8,13,10,4,7
	4	5,12,8,15,13,6,1,10,3,9,14,7,2,11,16,4
	5	16,13,4,7,3,10,9,12,15,5,11,12,8,6,1,14
	6	6,9,5,11,1,16,14,15,3,13,7,12,4,10,2,8
	7	4,8,13,6,15,2,11,9,16,1,10,7,14,3,12,5
	8	12,2,8,15,11,9,4,14,10,5,7,13,3,6,1,16
	9	15,11,1,7,13,6,9,10,4,16,8,3,12,2,5,14
	10	2,15,12,4,11,7,6,16,8,13,5,1,10,9,14,3
	11	7,10,2,15,4,8,9,1,14,11,6,16,12,5,3,13
	12	10,15,1,9,12,6,5,16,4,13,8,3,14,7,2,11
	13	9,13,4,1,6,14,5,2,10,16,3,8,11,15,7,12
	14	12,3,7,15,14,1,16,13,5,10,2, 9,4,11,8,6
15	13,15,1,8,7,4,6,10,12,3,11,5,2,16,14,9	
2	0	13,1,8,6,10,4,12,14,2,16,11,5,15,9,7,3
	1	2,5,7,11,14,13,9,1,15,6,16,10,3,8,12,4
	2	5,3,9,7, 2,13,15,12,4,14,10,16,1,11,6,8
	3	7,10,1,16,5,3,11,15,13,12,2,14,8,4,9,6
	4	1,8,5,9,11,16,15,3,7,14,4,6,12,10,2,13
	5	4,10,14,13,8,15,1,12,2,6,11,7,3,16,9,5
	6	14,4,13,1,12,10,3,5,11,8,15,16,6,9,7,2
	7	9,14,3,8,15,10,4,11,6,1,13,5,7,2,12,16
	8	6,9,4,16,2,5,14,8,15,13,1,12,11,10,3,7
	9	3,6,7,10,1,9,13,2,12,15,8,11,4,16,14,15
	10	14,2,5,7,15,11,13,16,9,4,6,1,12,3,8,10
	11	8,5,16,3,9,15,2,13,14,11,10,7,6,1,4,12
	12	11,9,8,4,12,1,7,14,3,15,2,16,10,13,6,5
	13	13,6,10,7,4,15,12,16,1,14,9,3,11,2,5,8
	14	12,7,2,5,3,10,15,11,13,16,6,4,8,14,1,9
15	16,5,9,14,7,12,1,4,15,3,8,2,11,6,10,13	
6	0	5,2,11,13,9,8,16,4,7,15,10,14,6,3,12,1
	1	7,14,16,4,10,5,9,3,15,11,6,8,1,13,2,12
	2	1,11,3,15,6,7,4,12,10,5,8,16,14,9,2,13
	3	4,16,7,1,10,15,6,8,5,14,2,13,9,12,3,11
	4	3,12,15,9,4,14,6,5,16,8,2,7,13,11,1,10
	5	11,9,13,5,6,1,3,10,2,4,16,12,7,15,8,14
	6	2,13,8,7,1,4,15,11,9,3,5,14,10,6,12,16
	7	15,8,12,16,7,4,13,3,11,14,2,9,5,6,1,10
	8	6,16,13,8,4,10,9,1,15,7,5,12,3,14,11,2
	9	9,15,5,7,14,16,2,12,1,6,11,13,8,10,4,3
	10	13,10,1,5,12,7,4,3,16,6,2,14,11,9,8,15
	11	8,1,16,3,4,2,9,15,11,5,13,10,12,6,14,7
	12	10,12,7,1,16,5,4,14,13,11,9,2,15,8,3,6
	13	12,7,6,14,2,8,15,9,4,1,10,16,13,3,11,5
	14	14,6,11,15,1,7,4,8,2,13,3,5,10,16,12,9
15	16,5,13,10,4,9,3,12,15,7,6,11,1,8,2,14	

**პირველი ციკლის  $Z_1$  გასაღების დასაფორმირებელი  $Z_0$  გასაღების მიღების ალგორითმი.**

კორპორაციული ქსელის ორი მომხმარებელიდან (პირობითად **A** და **B**), თუ **A** ინფორმაციის გადაცემა, ხოლო **B** კი მიმღები, მაშინ **B** აგზავნის **A**-სთან ორი დიდი **P<sub>0</sub>** და **Q<sub>0</sub>** მარტივი რიცხვების ნამრავლს  $N_0 = P_0 \cdot Q_0$  (თითოეული თანამრავლი ოთხთანრიგია ათობით რიცხვად **P<sub>0</sub>** **Q<sub>0</sub>**). ამასთან, **P<sub>0</sub>** და **Q<sub>0</sub>** მარტივი რიცხვების შემთხვევითი არჩევა ხდება მარტივი რიცხვების ბაზიდან (მომსახურე პერსონალმა არ იცის არჩეული რიცხვების მნიშვნელობები). **A** მომხმარებელი **N<sub>0</sub>** რიცხვიდან ალაღვენს **P<sub>0</sub>** და **Q<sub>0</sub>** რიცხვებს. ამ რიცხვების მნიშვნელობების ცოდნა უზრუნველყოფს **A** და **B** მომხმარებლების პარალელურ მუშაობას ერთი დამატევი ალგორითმით საილუმლო გასაღების მისაღებად. კერძოდ:

1. გამოითვლება: ა)  $\varphi_0(N_0) \bmod 10$  და ბ)  $\varphi_0(N_0) \bmod 15$  მნიშვნელობები.
2. განისაზღვრება **P<sub>1</sub>** და **Q<sub>1</sub>** რიცხვების ერთეული განათანრიგ შიგანთავსებული **a** და **b** ციფრებისაგან შედგენილი (**a, b**) წყვილი. ცხადია, რომ  $a \in \{1, 3, 7, 9\}$  და  $b \in \{1, 3, 7, 9\}$ .
3. მე-2 ცხრილში განთავსებული მარტივი რიცხვების დაბოლოებების თექვსმეტი ვარიანტისგან შედგენილი ( $1, 1; 1, 3; 1, 7; 1, 9; 3, 1; 3, 3; 3, 7; 3, 9; 7, 1; 7, 3; 7, 7; 7, 9; 9, 1; 9, 3; 9, 7; 9, 9$ ) ხუთი განსხვავებული ქვეჯგუფიდან (ქვეჯგუფების რაოდენობა 16!-ის ტოლია) შეირჩევა ერთ-ერთი ქვეჯგუფი მე-2 პუნქტში გამოთვლილი  $\varphi_0(N_0) \bmod 10$  შედეგის მიხედვით. რადგან ელერის ფუნქციის მნიშვნელობა უწირიცხვია, ამიტომ გამოთვლით მიიღება 0, 2, 4, 6 და 8 რიცხვებიდან ერთ-ერთი. ამ რიცხვებით ხდება ათობით მატრიცაში ქვეჯგუფის ნომრის განსაზღვრა ( $0 \rightarrow 1, 2 \rightarrow 2, 4 \rightarrow 3, 6 \rightarrow 4, 8 \rightarrow 5$ ).  $\varphi_0(N_0) \bmod 15$ -ის შედეგის მიხედვით (შესაძლებელია 15 მთელი რიცხვის მიღება 0-დან 14-ის ჩათვლით) განისაზღვრება ქვეჯგუფის სტრიქონის ნომერი.

ცხრ.2

ვარიანტის №	ქვეჯგუფი №1	ქვეჯგუფი №2	ქვეჯგუფი №3	ქვეჯგუფი №4	ქვეჯგუფი №5
0	3,1	1,3	9,9	9,1	1,7
1	7,9	3,7	1,1	1,3	9,9
2	1,7	1,9	7,3	3,7	7,7
3	9,3	3,9	3,9	1,9	3,3
4	7,1	7,3	7,7	9,7	3,1
5	3,7	9,3	3,1	7,9	7,3
6	1,9	1,1	7,9	7,1	9,3
7	9,7	1,7	1,7	3,9	1,1
8	1,3	9,9	9,3	7,3	7,9
9	9,1	7,7	7,1	9,3	1,9
10	3,3	3,3	3,7	1,1	3,9
11	9,9	3,1	1,9	1,7	9,1
12	1,1	9,7	9,7	9,9	1,3
13	7,3	9,1	1,3	7,7	3,7
14	3,9	7,9	9,1	3,3	7,1
15	7,7	7,1	3,3	3,1	9,7

ეს მატრიცა და 8x8 მატრიცების განლაგების ქვეჯგუფები ალგორითმის საილუმლო გასაღებებია და მათი შემადგენლობა ცნობილი უნდა იყოს მხოლოდ კორპორაციულ ქსელში ჩართული მომხმარებლებისთვის. ალგორითმის კრიპტომედეგობის გასაზრდელად მიზანშეწონილია ამ მატრიცის და მატრიცების განლაგების ქვეჯგუფების შემადგენლობათა ცვლილება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.

სტრიქონის შერჩევისას (**a, b**) წყვილის შესაბამისი კომბინაცია დროებით გადადის ქვეჯგუფის ბოლო მე-15 სტრიქონში გამეორების გამოსარიცხად.

განვიხილოთ ორი შემთხვევა:



$$1. \text{ვთქვათ } P_0 = 4261, Q_0 = 2819, N_0 = P_0 \cdot Q_0 = 4261 \cdot 2819 = 12011759, (a, b) \quad (1,9),$$

$$i_0(N_0) = (P_0 - 1) \cdot (Q_0 - 1) = 4260 \cdot 2818 = 12004680;$$

$$i_0(N_0) \bmod 10 = 12204680 \pmod{10} = 0; \quad i_0(N_0) \bmod 15 = 12204680 \pmod{15} = 0.$$

ე.ი. ცხრილი 2-დან შეირჩევა პირველი ქვეჯგუფი და ნულოვან სტრიქონში განთავსებული (c,d) წყვილი, რომელიც არის (3,1).

$$2. \text{თქვათ } P_0 = 4273, Q_0 = 3217, N_0 = 4273 \cdot 3217 = 13746241, (a, b) \quad (3,7),$$

$$i_0(N_0) = 4272 \cdot 3216 = 13738752;$$

$$i_0(N_0) \bmod 10 = 13738752 \pmod{10} = 2; \quad i_0(N_0) \bmod 15 = 13738752 \pmod{15} = 12.$$

მე-2 ქვეჯგუფისა და მე-12 სტრიქონში (მე-13 სტრიქონი ხდება მე-12 სტრიქონი, რადგან პირველი სტრიქონი გადადის ბოლოში) განთავსებული (c,d) წყვილი, რომელიც არის (9,1).

5. განისაზღვრება სალიმარტივი  $P_1$  და  $Q_1$  რიცხვები შემდეგი თანაფარდობებით:

$P_1 = P_0 + c - a + 100$  და  $Q_1 = Q_0 + d - b + 100$ , სადა  $c, d \in \mathbb{N}$  და იცვლება ერთიდან ზემოთ მანამ, სანამ თითოეული რიცხვი არ გასდებამარტივი. განხილული პირველი მაგალითის შემთხვევაში:  $P_1 = P_0 + c - a + 100 = 4261 + 3 - 1 + 100 = 4263 + 100$ , როცა  $c = 1$ , მაშინ  $P_1 = 4363$  და ეს რიცხვი მარტივია;  $Q_1 = Q_0 + d - b + 100 = 2819 + 1 - 9 + 100 = 2811 + 100$ , როცა  $d = 2$ , მაშინ  $Q_1 = 3011$  და ეს რიცხვი მარტივია.

მეორე მაგალითის შემთხვევაში:  $P_1 = P_0 + c - a + 10 = 4273 + 9 - 3 + 100 = 4279 + 100$ , როცა  $c = 4$ , მაშინ  $P_1 = 4679$  და ეს რიცხვი მარტივია;  $Q_1 = Q_0 + d - b + 100 = 3217 + 1 - 7 + 100 = 3211 + 100$ , როცა  $d = 3$ , მაშინ  $Q_1 = 3511$  და ეს რიცხვი მარტივია.

6. გამოთვლილი  $P_1$  და  $Q_1$  რიცხვები წარმოიდგინებთან ორობით სისტემაში, ჩამოშორდებით ბოლო მარჯვენა თითო ბიტი და თითოეულის რვა ბიტის (მარჯვნიდან მარცხნივ) ერთმანეთის გვერდით მიწერით მიღება საწყისი საიდუმლო გასაღები  $Z_0$ . განხილული მაგალითების შემთხვევაში გვექნება:

$$1. P_1 = 4363 = 10001000010111B \quad -10000101, \quad Q_1 = 3011 = 1011110000111B \quad -11100001 \text{ და } Z_0 = 1000010111100001.$$

$$2. P_1 = 4679 = 10010010001111B \quad -00100011, \quad Q_1 = 3511 = 110110110111B \quad -11011011 \text{ და } Z_0 = 0010001111011011.$$

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ  $Z_1$  გასაღების შემადგენლობით ხდება დაშიფვრის პროცესის მართვა. კერძოდ, თუ  $Z_1 - K_1 K_2 K_3 K_4 K_5 K_6 K_7 K_8 K_9 K_{10} K_{11} K_{12} K_{13} K_{14} K_{15} K_{16}$ , სადაც  $K_i$   $Z_1$  გასაღების  $i$ -ური ბიტია, მაშინ:  $K_3 K_9 K_{14}$ -ის შესაბამისი ათობითი რიცხვი განსაზღვრავს მატრიცების განლაგების ქვეჯგუფის ნომერს;  $K_2 K_7 K_{11} K_{15}$ -ის შესაბამისი ათობითი რიცხვი ქვეჯგუფში სტრიქონის ნომერს;  $K_4 K_5 K_6 K_{10} K_{12} K_{13}$ -ის შესაბამისი ათობითი რიცხვი გადიდებული ერთით მატრიცებში  $Z_2$  ბაიტის ბიტების ჩაწერის საწყის ნომერს (რადგან მატრიცის უჯრების დანომვრა იწყება 1-დან), ამასთან თითოეულ მატრიცაში მარშრუტის მიმართულება განისაზღვრება  $Z_1$  გასაღების შესაბამისი ბიტის დონით (1-მატება, 0-კლება). ე.ი. თუ  $K_1=1$  და  $K_7=0$ , მაშინ პირველ მატრიცაში მარშრუტი გრძელდება ნომრის მატებით, ხოლო მეშვიდე მატრიცაში კინომრის კლებით;  $K_1 \oplus K_{16} = 1$ - მატრიცებიდან წაკითხვა სტიქონებით, ხოლო  $K_1 \oplus K_{16} = 0$  წაკითხვა სვეტებით;  $K_3 K_6 K_8 K_{11} K_{13} K_{15} K_{16}$ -ის შესაბამისი ათობითი რიცხვი განსაზღვრავს პირველად წასაკითხი სტრიქონის ან სვეტის ნომერს, ამასთან, თუ  $K_5 \oplus K_{14} = 1$  - წაკითხვა ნომრის მატებით, ხოლო, თუ  $K_5 \oplus K_{14} = 0$  - წაკითხვა ნომრის კლებით.

ზემოთ მიღებული  $Z_1$  გასაღების პირველი მნიშვნელობის შემთხვევაში:

$K_1$	$K_2$	$K_3$	$K_4$	$K_5$	$K_6$	$K_7$	$K_8$	$K_9$	$K_{10}$	$K_{11}$	$K_{12}$	$K_{13}$	$K_{14}$	$K_{15}$	$K_{16}$
1	0	0	0	0	1	0	1	1	1	1	0	0	0	0	1

$K_3K_9K_{14}-010=2$ - მატრიცების განლაგების ქვეჯგუფის ნომერია 2;  $K_2K_7K_{11}K_{15}-0010=2$ - ქვეჯგუფში სტრიქონის ნომერი 2 (მატრიცების განლაგებაა 5,3,9,7,2,13,15,12,4,14,10,16,1,11,6,8);  $K_4K_5K_6K_{10}K_{12}K_{13}-001100$ -მატრიცებში  $M_1$  ბაიტის პირველი ბიტის ჩაწერის საწყისი ნომერი  $12+1=13$  (ამასთან, 1-5, 6-13, 8-12, 9-4, 10-14, 11-10, 16-8 მატრიცებში მარშრუტი გრძელდება ნომრის მატებით, ხოლო 2-3, 3-9, 4-7, 5-2, 7-15, 12-16, 13-1, 14-11, 15-6 მატრიცებში კი კლებით);  $K_1 \oplus K_{16} = 1 \oplus 1 = 0$ -მატრიცებიდან წაკითხვა სვეტებით;  $K_3K_6K_8K_{11}K_{13}K_{15}K_{16}-0111001$ -პირველად წასაკითხი სვეტის ნომერი 57;  $K_5 \oplus K_{14} = 0 \oplus 0 = 0$ -წაკითხვა ნომრის კლებით.

$Z_1$  გასაღების მეორე მნიშვნელობის შემთხვევაში:

$K_1$	$K_2$	$K_3$	$K_4$	$K_5$	$K_6$	$K_7$	$K_8$	$K_9$	$K_{10}$	$K_{11}$	$K_{12}$	$K_{13}$	$K_{14}$	$K_{15}$	$K_{16}$
0	0	1	0	0	0	1	1	1	1	0	1	1	0	1	1

$K_3K_9K_{14}-110=6$ -მატრიცების განლაგების ქვეჯგუფის ნომერია 6;

$K_2K_7K_{11}K_{15}-0101=5$ - ქვეჯგუფში სტრიქონის ნომერი 5 (მატრიცების განლაგებაა 11, 9, 13, 5, 6, 1, 3, 10, 2, 4, 16, 12, 7, 15, 8, 14);

$K_4K_5K_6K_{10}K_{12}K_{13}-000111$  მატრიცებში  $M_1$  ბაიტის პირველი ბიტის ჩაწერის საწყისი ნომერი  $7+1=8$  (ამასთან, 3-13, 7-3, 8-10, 9-2, 10-4, 12-12, 13-7, 15-8, 16-14 მატრიცებში მარშრუტი გრძელდება ნომრის მატებით, ხოლო 1-11, 2-9, 4-5, 5-6, 6-1, 11-16, 14-15 მატრიცებში კი კლებით);

$K_1 \oplus K_{16} = 0 \oplus 1 = 1$ -მატრიცებიდან წაკითხვა სტრიქონებით;

$K_3K_6K_8K_{11}K_{13}K_{15}K_{16}-1010111$ -პირველად წასაკითხი სტრიქონის ნომერი 87;

$K_5 \oplus K_{14} = 0 \oplus 0 = 0$ -წაკითხვა ნომრის კლებით.

თითოეულ ციკლში წაკითხული ინფორმაციის ყოველი ოთხი ბიტი წარმოიდგინება თექვსმეტობითი თვის სისტემით (მიიღება 256 სიმბოლო) და ასეთი სახით მიღებული მთლიანი შიფრტექსტი, რომელიც შედგება 256-ი სიმბოლოსგან (ი ციკლების რაოდენობაა, რომელიც განისაზღვრება დასაშიფრი ბაიტების საერთო რაოდენობის გამომსახველი რიცხვის გაყოფით 128-ზე, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე მეტობით) გადაიცემა მიმღებისაკენ.

### 3. დასკვნა

ჩვენს მიერ შემუშავებულ ალგორითმს აქვს შემდეგი ღირსებები: დაშიფრის ყოველ ციკლში იშიფრება 1024 ბიტის (128 ბაიტის) შემცველი მიმღევრობა, ყოველ ციკლში მონაწილეობს შემთხვევითი შემადგენლობის მქონე 1024 ბიტის სიგრძის გასაღები, გასაღების მნიშვნელობის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ღია ტექსტის მონაცემები, მატრიცებში ბიტების განლაგების და მატრიცებიდან მათი წაკითხვის თანმიმდევრობას აქვს შემთხვევითი ხასიათი, დაშიფრისა და გაშიფრის პროცედურებისათვის რთული კვანძების არ საჭიროება განაპირობებს ალგორითმის ადვილად გადაწყობის შესაძლებლობას.

ალგორითმი გამოირჩევა სწრაფქმედებით, კრიპტოგრაფიული მედეგობით (კავშირის ხაზში არ გადაიცემა დაშიფრისა და გაშიფრის პროცედურებში მონაწილე არც ერთი პარამეტრი, ახალი მარტივი რიცხვების დაბოლოებების განმსაზღვრელი ცხრილის და მატრიცების განლაგების ჯგუფების შემადგენლობა იცვლება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ); ერთმანეთის მიყოლებით განმეორებადი 1024 ბიტის შემცველი მიმღევრობების დაშიფრისას მიიღება განსხვავებული შიფრტექსტები.

**ლიტერატურა:**

1. Соколов А. Б., Маньгин В.Ф. (2002). Защита информации в распределенных корпоративных системах. М., ДМК Процесс.
2. კუციავა ვ., კახაბე გ., ლიაკონიძე ქ. (2005). ინფორმაციის დაცვა. თბილისი. "ტექნიკური უნივერსიტეტი".
3. Куцава В.А., Джохадзе П.Д., Гоголадзе Г.Н. (2013). Алгоритм шифрования данных. Georgian Engineering News, №2, с.9-13.

**SYMMETRICAL CRYPTOALGORITHM FOR ENCODING  
1024 BIT LONG BLOCK**

Kutsiava Vasili, Jokhadze Paata, Gogoladze Georgi  
Georgian Technical University

**Summary**

The paper reviews cryptographic algorithm for encoding data block, which uses original method of bits displacement and diffusion. Algorithm is symmetrical and allows encoding the 1024 bit long blocks using 64 random 16 bit long key. The first secret key  $Z_1$ , which value is unknown for service personnel, is formed as a result of performing certain procedures given in the algorithm, whereas, the value of each next key is defined by  $Z_{i+1}=D_i \oplus Z_i (i = 1 \dots 64)$  formula, where  $D_i$  is 16 bit long word of an open text. After that  $D_i$  information, containing 16 bites, is substituted by  $Z_{i+1}$  and the bits included in the latter are diffused by the algorithm. The first secret key is the previous cycle's  $Z_{65}$  key in encoding every next 1024 bit long data block. Corporate network connection line does not transfer any real value of parameter, which is used in encoding procedures. The proposed algorithm is robust and fast.

**СИММЕТРИЧНЫЙ КРИПТОАЛГОРИТМ ШИФРОВАНИЯ БЛОКА ДАННЫХ,  
СОДЕРЖАЩЕГО 1024 БИТА**

Куцава В.А., Джохадзе П.Д., Гоголадзе Г.Н.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрен криптографический алгоритм для шифрования блока данных, в котором используется оригинальный метод смещения и размещения битов. Алгоритм является симметричным и позволяет шифровать блоки данных содержащих 1024 бита при помощи шестидесятичетырех 16-битных случайных ключей. Первый секретный ключ  $Z_1$ , значение которого неизвестно обслуживающему персоналу, формируется после выполнения определенных процедур, приведенных в алгоритме, а составы последующих ключей определяются при помощи выражения  $Z_{i+1}=D_i \oplus Z_i (i = 1 \dots 64)$ , где  $D_i$  16-битовое слово открытого текста. Далее происходит замена двухбайтовой информации  $D_i$  выражением  $Z_{i+1}$  и размещение входящих в него битов по алгоритму. Первым секретным ключом при шифровании каждого последующего блока данных, содержащего 1024 бит, является ключ  $Z_{65}$  предыдущего цикла. В линии связи корпоративной сети не передаются действительные значения ни одного параметра, применяемого в процедурах шифрования. Предложенный алгоритм характеризуется стойкостью и высоким быстродействием.

## ინფორმაციის დაცვის მეთოდის დამუშავება საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით

გულნარა კოტრიკაძე, ნანული დანელია, გიორგი თაზიაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

კრიპტოგრაფიაში არსებულ მეთოდებზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ ახალი მეთოდი, რომელშიც გარკვეული კანონზომიერებით ჩადებულია ქართული ანბანის ნუმერაცია ღია გასაღების სახით. საიდუმლო გასაღები გამოითვლება საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით. ამგვარად, გამოყენებულია როგორც ღია, ასევე საიდუმლო გასაღები, რომელსაც კანონიერი მომხმარებლები იღებენ გამოთვლების საფუძველზე ღია გასაღების გამოყენებით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. გამოვთვალეთ სიმრავლე, ალბათობა და საიმედოობა, ანუ დავადგინეთ მეთოდის მედეგობა.

**საკვანძო სიტყვები:** კრიპტოგრაფია. საშუალო არითმეტიკული. მედეგობა.

### 1. შესავალი

კრიპტოგრაფიას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი თეორიული საფუძვლები, მხოლოდ XX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს იყო ჩამოყალიბებული კ. შენონისა და სხვა ავტორთა ნაშრომებში [1]. კრიპტო ... (ბერძნ. Kryptos - საიდუმლო, ფარული) ... გრაფია (ბერძნ. graho - ვწერ, ვხატავ, ვხაზავ) რთული სიტყვის ნაწილებია, ხოლო სიტყვა კრიპტოგრაფია (კრიპტო... და ... გრაფია) პირობითი საიდუმლო ნიშნებით წერას ნიშნავს [2].

კრიპტოგრაფია გახდა ერთ-ერთი ძირითადი საშუალება საიდუმლოების დასაცავად, საიმედოობისა და კონტროლისათვის, ელექტრონული გადარიცხვებისათვის, ორგანიზაციების დაცვისა და სხვა მრავალ სფეროში. რისთვის არის საჭირო ინფორმაციის დაცვა? რისი გაკეთება შეუძლია ინფორმაციის გამტაცებელს „ჰაკერი“? მას შეუძლია შეცვალოს ინფორმაცია თავისი მიზნებისათვის, გაიფართოვოს თავისი კანონიერი უფლებამოსილებანი, გაიგოს, ვის რა ინფორმაციასთან აქვს შეხება, შეუშალოს ხელი მომხმარებლებს შორის ინფორმაციის გაცვლას. კრიპტოგრაფია საიდუმლოს შენახვის მეცნიერებაა. კრიპტოანალიზი კოდის გატეხვის ხელოვნებაა, ე.ი. წერილის აღდგენა გასაღების წინასწარი ცოდნის გარეშე. კრიპტოგრაფიაში მომუშავე ადამიანებს კრიპტოგრაფები ეწოდებათ, ხოლო კრიპტოანალიზში მომუშავეებს - კრიპტოანალიტიკოსები [3].

### 2. ძირითადი ნაწილი

ინფორმაციის დასაცავად, სანამ შევიმუშავედით ახალ მეთოდს, შევისწავლეთ არსებული მეთოდები, მათი მახასიათებლები და საიმედოობის ხარისხი. ზოგიერთ არსებულ მეთოდებში აღმოვაჩინეთ გარკვეული ნაკლოვანებები. მაგალითად როგორიცაა: უკუპროცესი (დაშიფრული ინფორმაციიდან საწყისამდე მისასვლელად უკუგზა არ უნდა არსებობდეს იგივე გზით და იგივე გასაღებით), დამოკიდებულება (დაშიფრულ ინფორმაციაში ყოველი მომდევნო არ უნდა იყოს დამოკიდებული წინა მონაცემებზე, რასაც იწვევს გასაღებში შემავალი პარამეტრების დამოკიდებულება). გარდა ამისა ზოგიერთი მეთოდები, იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც ცნობილია, ყოველთვის არ სრულდება, ანუ გარკვეული შეზღუდვებია საჭირო, რაც კიდევ უფრო უმარტივებს ინფორმაციის გამტაცებელს გაშიფრის პროცესს [4].

განვიხილეთ მრავალი ვარიანტი და ბოლოს მივიღეთ შემდეგი მეთოდი. გასაღების მიღების პროცესი: ავიღოთ ქართული ანბანი და დავნომროთ რიგითობით. მივიღეთ ერთი სტრიქონი 33 ციფრისაგან შემდგარი თანმიმდევრობით ჩაწერილი. შემდეგ ავიღეთ მეორე სტრიქონი და ჩაწერა ვაწარმოეთ ერთი პოზიციის წანაცვლებით, ანალოგიურად მოვიქეცით მესამე სტრიქონის შემთხვევაშიც და ა.შ. ანალოგიური გზით ჩავწერეთ 33 სტრიქონი, მივიღეთ 33/33-ზე კვადრატული მატრიცა, დიაგონალზე ერთიდაიგივე ციფრებისაგან შემდგარი (ნახ.1).

ო	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ	ჲ	ჳ		
ა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33				
ბ	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28
გ	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27
დ	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26
ე	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25
ვ	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24
ზ	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23
თ	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22
ი	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21
კ	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20
ლ	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19
მ	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18
ნ	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17
ო	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16
პ	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15
ჟ	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14
რ	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13
ს	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12
ტ	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11
უ	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10
ფ	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9
ქ	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8
ღ	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7
ყ	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6
შ	25	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5
ჩ	26	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4
ც	27	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4	3
ძ	28	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4	3	2
წ	29	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
ჭ	30	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1	
ხ	31	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1		
ჯ	32	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1			
ჰ	33	32	31	30	29	28	27	26	25	24	23	22	21	20	19	18	17	16	15	14	13	12	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1				

**ნახ.1. ყველასათვის ცნობილი ღია გასაღები.**

საბოლოო ჯამში მივიღეთ ქართულ ანბანზე აგებული ღია გასაღები და მიღებული მატრიცა განვაცხადეთ, ანუ ყველასათვის ცნობილია. აღნიშნული ღია გასაღების გამოყენებით კანონიერი მომხმარებლები, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ითვლიან საიდუმლო გასაღებს, გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მატრიცა უნდა დაეფიციკალირებოდეს 4/4-ზე, რომელიც შესაბამისად შეიცავს 16 ელემენტს, მიიღება 64 ასეთი კვადრატი. ცალკეული კვადრატებიდან უნდა გამოვთვალოთ საშუალო არითმეტიკული, მიიღება 4 კვადრატი 16-16 ციფრისაგან შემდგარი. ე.ი. სულ 64 ციფრი და ამ კვადრატების კვეთაზე მიიღება კიდევ 65-ე საერთო ციფრი (ნახ.2).

გასაღების მიღების პროცედურა: მიღებული საშუალო არითმეტიკულის (ნახ.2) კვადრატებიდან პირველ კვადრატის პირველ ელემენტს დავუმატებთ ერთს, შემდეგ მეორეს - ორს და ასე თანმიმდევრობით, ვიღებთ გასაღების პირველ კვადრატს. მეორე კვადრატის ელემენტებს ვუმატებთ მიღებული კვადრატის ელემენტებს პოზიციების მიხედვით თანმიმდევრობით და ვიღებთ გასაღების მეორე კვადრატს. რაც შეეხება მესამე და მეოთხე კვადრატებს, შეიძლება მივიღოთ ორი გზით: 1. რადგან თავდაპირველ ღია გასაღებში (ნახ.1) და ასევე საშუალო არითმეტიკულის კვადრატებში (ნახ.2) გვაქვს დიაგონალზე ერთიდაიგივე ელემენტები, ანალოგიურად პირველ და მეორე ცხრილში შემავალ ციფრებს უნდა შეიცავდეს ასევე მესამე და მეოთხე კვადრატებიც, ამიტომ მათი თანმიმდევრობის შებრუნებით დიაგონალზე, მიიღება მესამე და მეოთხე კვადრატები. 2. საშუალო არითმეტიკულის (ნახ.2) მეოთხე კვადრატის ელემენტებს, ქვედა მარჯვენა კუთხიდან, დაწყებული დავუმატოთ პირველ ციფრს ერთი, მეორეს - ორი და ა.შ. შესაბამისი თანმიმდევრობით, მივიღებთ მეოთხე კვადრატს. საშუალო არითმეტიკულის მესამე კვადრატს თუ დაუმატებთ მიღებულ მეოთხე კვადრატს გვაძლევს მესამე კვადრატს (ნახ.3).

4	8	12	16	21	25	29	32
8	12	16	20	25	29	32	29
12	16	20	24	29	32	29	25
16	20	24	28	32	29	25	21
				25			
21	25	29	32	28	24	20	16
25	29	32	29	24	20	16	12
29	32	29	25	20	16	12	8
32	29	25	21	16	12	8	4

**ნახ.2. საშუალო არითმეტიკულების გამოყენებით ჩაწერილი კვადრატები**

საერთოა. ე.ი. მიიღება ოცდაცამეტი ციფრისაგან შემდგარი გასაღები.

მიღებულ გასაღებს (ნახ.3) შევუსაბამოთ ქართული ანბანის ასოები და მიიღება გასაღები ჩაწერილი შესაბამისი ანბანის მიხედვით (ნახ.4).

5	10	15	20	26	35	45	52
13	18	23	28	38	47	55	57
21	26	31	36	50	58	60	62
29	34	39	44	61	63	64	65
				25			
65	64	63	61	44	39	34	29
62	60	58	50	36	31	26	21
57	55	47	38	28	23	18	13
52	45	35	26	20	15	10	5

**ნახ.3. საიდუმლო გასაღები**

ა	ბ	გ	დ	ს	ტ	უ	ფ
ე	ვ	ზ	თ	ქ	ღ	ყ	შ
ო	პ	ლ	მ	ჩ	ც	ძ	წ
ნ	რ	კ	ხ	ჭ	ხ	ჯ	ჰ
				რ			
ჰ	ჯ	ხ	ჭ	ფ	პ	ო	ნ
წ	ძ	ც	ჩ	მ	ლ	კ	ი
შ	ყ	ღ	ქ	თ	ზ	ვ	ე
ფ	უ	ტ	ს	დ	გ	ბ	ა

**ნახ.4. ანბანის მიხედვით ჩაწერილი საიდუმლო გასაღები**

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. ვთქვათ საწყისი ინფორმაცია არის:

**„მე გავიმარჯვებ“.**

გასაღების გამოყენებით ორივე მომხმარებელს შეუძლია ჩაწეროს ციფრების სახით, ანუ დაშიფროს, რასაც ექნება შემდეგი სახე: 36 13 15 5 18 21 5 25 64 18 13 10.

დაშიფრული ინფორმაცია განვაცხადეთ ღიად, ანუ გამატყებელმა ჩაიგდო ხელში. კანონიერი მომხმარებლები მათთვის ცნობილი გასაღების საფუძველზე, ინფორმაციის დეშიფრაციას მოახდენენ ძალიან სწრაფად და მარტივად. ინფორმაციის გამტაცებელს დაშიფრული ინფორმაციიდან გაუჭირდება საწყისი ინფორმაციის მიღება, რადგან მან არ იცის გასაღები.

ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა გაიაროს ყველა ასოს ამოცნობაში და ყოველ მომდევნოსთან მოიყვანოს კომბინაციაში, რასაც საკმაოდ ბევრი დრო დასჭირდება, რის გამოც ინფორმაცია აზრს დაკარგავს. გარდა ამისა, გასაღებში შემავალი ციფრებიდან ნაწილი ღია ცხრილში არ ფიგურირებს და ნაწილი კი ძალიან ბევრჯერ მეორდება და მათ სხვადასხვა ასოები შეესაბამება. ასევე, ერთი სიტყვა თუ ამოცნო არ ნიშნავს იმას, რომ მომდევნოც ეცოდინება.

### 3. დასკვნა

- კრიპტოგრაფიის უკვე არსებულ მეთოდებში არის ნაკლოვანებები, როგორცაა: უკუგზა გაშიფვრის დროს, ერთიდაიგივე გასაღები დასაშიფრად და გასაშიფრად, დამოკიდებულება, ნამდვილობის უარყოფა და ა.შ.;

- შევიმუშავეთ ახალი მეთოდი, სადაც გამოყენებულია, როგორც ღია, ასევე საიდუმლო გასაღები, გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე მიღებული;

- ორივე კანონიერი მომხმარებელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იღებს ერთიდაიგივე საიდუმლო გასაღებს, გაცხადებულ გასაღებზე დაყრდნობით, საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით, რომელიც შეიცავს აბსოლუტურად განსხვავებულ ციფრებს და გასაღების არცერთი ციფრი არ მეორდება;

- მიღებული მეთოდი არის მაქსიმალურად დაცული და მესამე პირისათვის, რეალურ დროში, შეუძლებელია, ჩვენს მიღებული მეთოდით, დაშიფრული ინფორმაციის გატეხვა.

### ლიტერატურა:

1. Шнайер Б. (2003). Прикладная криптография. М., Изд. “Триумф”.
2. მეგრელიშვილი რ. (2009). ინფორმაციის დაცვის სისტემები, თსუ.
3. კუციავა ვ., კაცაძე გ., ლიაკონიძე ქ. (2005). ინფორმაციის დაცვა, სტუ, „ტექნიკური უნივერსიტეტი”.
4. ყიფშიძე ზ., ანანიაშვილი გ. (2003). ინფორმაციის თეორია, კოდირება და სინერგეტიკა. თსუ.

### PROCESSING THE METHOD OF INFORMATION PROTECTION USING AVERAGE

Kotrikadze Gulnara, Danelia Nanuli, Taziashvili Giorgi

Georgian Technical University

### Summary

The work is about describing Cryptography in general. Based on the existing methods, we have developed a new method which with some regularity includes Georgian alphabet numbering in the form of the public key. The secret key is calculated by using the average. This means that both the public and the secret keys are used. The rightful users receive both keys independently from each other on the basis of calculations and by using the public key. We have also calculated the set, the probability and the reliability. In another words, we identified the endurance of the method.

### РАЗРАБОТКА СПОСОБА ЗАЩИТЫ ИНФОРМАЦИИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ СРЕДНЕГО ВЫЧИСЛЕНИЯ

Котрикадзе Г., Данелия Н., Тазиашвили Г.

Грузинский Технический Университет

### Резюме

Описываются методы криптографии. На основе существующих методов разработан новый метод, в который заложена с определенной закономерностью нумерация грузинского алфавита в виде открытого ключа, а секретный ключ вычисляется применением среднего арифметического. Т.е. применен как открытый, так и секретный ключ, который пользователь получает с помощью вычислений. Приведена оценка надежности метода.

**ინფორმაციის ღაცვის მეთოდის დამუშავება რიცხვით გაცხეობ**

გულნარა კოტრიკაძე, ნანული დანელია, გიორგი თაზიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

შევისწავლეთ კრიპტოგრაფია და აღნიშნულის საფუძველზე, მივედით დასკვნამდე, რომ მიგველო ახალი ორიგინალური მეთოდი, რომელიც იქნებოდა გამორჩეული მაღალი საიმედოობით. გამოვიყენეთ ღია გასაღები ნებისმიერი ტექსტის სახით, რომლის საფუძველზეც კანონიერი მომხმარებლები იღებენ საიდუმლო გასაღებს, ღია ტექსტის თანმიმდევრობითი დანომრვითა და რიცხვითა გაბნევით. გამოვთვალეთ სიმრავლე, ალბათობა და საიმედოობა.

**საკვანძო სიტყვები:** კრიპტოგრაფია. ღია ტექსტი. რიცხვითა გაბნევა. საიმედოობა.

**1. შესავალი**

კრიპტოგრაფიას ღიდი ხნის ისტორია აქვს. მას ჯერ კიდევ ცეზარის დროს იყენებდნენ სამხედრო საქმიანობის წარმართვისათვის. თუმცა მისი თეორიული საფუძველები, მხოლოდ XX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს იყო ჩამოყალიბებული კლოდ შენონისა და სხვა ავტორთა ნაშრომებში [1,5].

კრიპტოგრაფიული ტერმინოლოგიით ადრესატისადმი გასაგზავნ წერილს (ჩვეულებრივ შეტყობინებას) ეწოდება დაუშიფრავი ან ღია ტექსტი. წერილის ისეთი სახით კოდირებას, რომლის დროსაც საიდუმლო ხდება ტექსტის შინაარსი გარკვეული კოდირების გამოყენებით, ეწოდება დაშიფვრა, კოდირებულ ტექსტს - დაშიფრული ტექსტი. დაშიფრული ტექსტიდან საწყისი ტექსტის აღდგენას - დეშიფრაცია [2,4]. დაშიფვრისა და გაშიფვრის (დეშიფრაციის) შემთხვევაში ადგილი აქვს ტექსტის გარდაქმნას განსაზღვრული ალგორითმის შესაბამისად. გარდაქმნის ტიპი ამორჩევა გარდაქმნების სიმრავლიდან, რომელიც ქმნის კრიპტოგრაფიულ სისტემას. სისტემის ნაწილს, რომელიც ახორციელებს ინფორმაციული ტექსტის კონკრეტული გარდაქმნის კოდს, ეწოდება გასაღები. როგორც წესი (თუმცა, არა ყოველთვის), გასაღების სიგრძე გაცილებით ნაკლებია ტექსტის სიგრძეზე [3].

**2. ძირითადი ნაწილი**

ჩვენს მიერ მიღებული ახალი მეთოდი.

ავიღეთ ნებისმიერი ტექსტი და დავნომრეთ თანმიმდევრობით თავისი გამოტოვებით, სასვენნი ნიშნებით და მივიღეთ მატრიცა, რომელიც შეიცავს 33 სვეტს და 33 სტრიქონს და გაჩერდით, რადგან 33/33-ზე მატრიცა საკმარისია საიმედოობისათვის. თუმცა შეგვიძლია გავაგრძელოთ გასაღების სტრიქონთა რაოდენობა, რადგან არ მოხდეს გამეორება, თუმცა არც გამეორება აიოლებს ჰაკერისათვის საქმეს. ე.ი. მივიღეთ გასაღები 33/33-ზე (ნახ.1). მიღებული გასაღები ანუ ამ შემთხვევაში მხოლოდ ტექსტი, ნუმერაციის გარეშე, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ უნდა შეიცვალოს, განვაცხადეთ, ანუ ყველასათვის ცნობილია, თუმცა რიცხვითა ამორჩევის კანონზომიერება იცის მხოლოდ კანონიერმა მომხმარებლებმა.

გასაღები შევადგინეთ შემდეგნაირად: აღნიშნულ ღია ტექსტში (შემდგომში ღია გასაღები), ხდება ასოების დანომრვა, ასოებს ვანიჭებთ სხვადასხვა ციფრებს, მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. მაგალითად: ასო „ა“-ს პირველად მიენიჭა ციფრი 11, შემდეგ - 25 და ა.შ., ანალოგიურად - სხვა დანარჩენ ასოებსაც. მიღებული გასაღებიდან ამოვარჩიეთ, ასოების მიხედვით, მათი ნუმერაციები ანუ ყველა შესაძლო ვარიანტი. თვალსაჩინოებისათვის, ავიღოთ ასო „ა“, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა ციფრები, ასევე სხვა დანარჩენ ასოებსაც (ნახ.2).



მ	ო	გ	ე	ზ	ს	ე	ნ	ე	ბ	ა	თ	,
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	რ	ო	მ		ი	ნ	ფ	ო	რ	მ	ა	ც
14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
ი	ი	ს		დ	ა	ც	ვ	ა	-	დ	ა	ს
27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39
ა	ი	დ	უ	მ	ლ	ო	ე	ბ	ა	,		ა
40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52
რ	ი	ს		ს	ა	კ	მ	ა	ო	დ		ა
53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65
ქ	ტ	უ	ა	ლ	უ	რ	ი		თ	ე	მ	ა

ნახ.1. ღია გასაღები, ნებისმიერი ტექსტი (ნაწილი 33/33-ზე მატრიციდან)

ა																
11	25	32	35	38	40	49	52	58	61	65	69	76	101	107	110	120
270	286	290	297	302	304	310	324	338	340	393	412	414	422	432	434	440
597	612	619	622	625	631	635	637	645	647	655	658	660	668	670	676	686

ბ								
10	48	100	114	128	191	228	238	266
943	969	979	997	1000	1028	1045	1078	1080

ნახ.2. ღია გასაღებიდან ასოების ამორჩევა, საიღუმლო გასაღების გენერირება (ნაწილი)

განვიხილოთ თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაშიფვრა აღნიშნული გასაღებით. ვთქვათ საწყისი ინფორმაცია არის - „გამარჯობათ. სვალ ჩამოვდივარ საქართველოში და უნდა გნახოთ აუცილებლად“. მიღებული გასაღების გამოყენებით ასოებს თანმიმდევრობით მივანიჭოთ ღია გასაღებში მინიჭებული ციფრები, შესაძლებელია როგორც თანმიმდევრობით ასევე გაბნევით (ნებისმიერად), მივიღებთ შემდეგი სახის დაშიფრულ ინფორმაციას:

3 11 1 25 15 17 2 10 32 12 138 5 34 35 45 483 38 24 16 85 31 19 97 49 23 6 52  
 66 58 53 79 111 4 70 22 102 37 61 43 8 42 65 119 20 69 80 46 109 76 68 26 27  
 87 7 48 179 101 63 195

მივიღეთ საბოლოო სახის დაშიფრული ინფორმაცია. იგი მოვათავსეთ მართკუთხედში გარკვეული კანონზომიერებით (ნახ.3), რომელიც იგზავნება მეორე მომხმარებელთან ღია არხით, ანუ გამტაცებლისათვის ხელმისაწვდომია (ნახ.4). ე.ი. ჰაკერმა იცის ღია გასაღები (ნებისმიერი ტექსტი) ნახ.1 და დაშიფრული ინფორმაცია ნახ.4. მისთვის უცნობია მხოლოდ, დაშიფვრისა და მართკუთხედში ჩაწერის კანონზომიერება.

	<b>3</b>								
<b>11</b>				<b>1</b>	<b>25</b>	<b>15</b>			
	<b>17</b>			<b>2</b>					<b>10</b>
			<b>32</b>			<b>12</b>			
	<b>138</b>								
	<b>5</b>			<b>34</b>	<b>35</b>				<b>45</b>

<b>483</b>			<b>38</b>	<b>24</b>				<b>16</b>	
									<b>85</b>
		<b>31</b>					<b>19</b>		
<b>97</b>				<b>49</b>					<b>23</b>
		<b>6</b>	<b>52</b>		<b>66</b>				<b>58</b>
									<b>53</b>

								<b>79</b>	
		<b>111</b>	<b>4</b>		<b>70</b>				<b>22</b>
<b>102</b>				<b>37</b>				<b>61</b>	
		<b>43</b>			<b>8</b>				
								<b>42</b>	
<b>65</b>			<b>119</b>	<b>20</b>			<b>69</b>		

		<b>80</b>			<b>46</b>	<b>109</b>			<b>76</b>
	<b>68</b>								
			<b>26</b>					<b>27</b>	
	<b>87</b>				<b>7</b>				<b>48</b>
<b>179</b>				<b>101</b>		<b>63</b>	<b>195</b>		
	<b>195</b>								

ნახ.3. დაშიფრული ინფორმაციის მართკუთხედში ჩაწერის კანონზომიერება

დეშიფრაციისათვის მეორე, კანონიერი მომხმარებელი, რომელიც ფლობს კანონზომიერებას, ჰაკერისაგან განსხვავებით, მიღებულ დაშიფრულ ინფორმაციას ციფრების სახით, მართკუთხეში ჩაწერის კანონზომიერების საფუძველზე, მოახდენს ამორჩევას ჯერ მართკუთხედიდან, შემდეგ მატრიციდან შეუსაბამებს ასოებს და მიიღებს საწყის ინფორმაციას.

<b>483</b>	<b>3</b>	<b>80</b>	<b>38</b>	<b>24</b>	<b>46</b>	<b>109</b>	<b>16</b>	<b>79</b>	<b>76</b>
<b>11</b>	<b>68</b>	<b>11</b>	<b>4</b>	<b>1</b>	<b>70</b>	<b>25</b>	<b>15</b>	<b>85</b>	<b>22</b>
<b>102</b>	<b>17</b>	<b>31</b>	<b>26</b>	<b>37</b>	<b>2</b>	<b>19</b>	<b>27</b>	<b>61</b>	<b>10</b>
<b>97</b>	<b>87</b>	<b>43</b>	<b>32</b>	<b>49</b>	<b>7</b>	<b>8</b>	<b>12</b>	<b>23</b>	<b>48</b>
<b>179</b>	<b>138</b>	<b>6</b>	<b>52</b>	<b>101</b>	<b>66</b>	<b>63</b>	<b>195</b>	<b>42</b>	<b>58</b>
<b>65</b>	<b>195</b>	<b>5</b>	<b>119</b>	<b>20</b>	<b>34</b>	<b>35</b>	<b>69</b>	<b>53</b>	<b>45</b>

ნახ.4. დაშიფრული ინფორმაციის საბოლოო სახე

რაც შეეხება გამტაცებელს, მან იცის დაშიფრული ინფორმაცია და ღია ტექსტი, იგი შეეცდება მიმართოს ყველა გზას. მაგალითად: ვთქვათ დანომრა ღია გასაღები, რადგან გასაღებში გამოიყენება ოთხნიშნა რიცხვებიც, გააჩნია დასაშიფრი ინფორმაციის ზომაც, ამიტომ იგი გამოყოფს მაქსიმუმ ყოველ 4 ციფრს (თუმცა ციფრებით არ ზდება გასაღების გავრცელება) და გაივლის ყველა შესაძლოს, რაც შეადგენს ერთი ასოს ამოცნობისათვის 16 ვარიანტს. ე.ი. ერთი ასოს ამოცნობაში 16 ოპერაცია არის საჭირო, ყოველი ოთხი ციფრიდან რომ ამოიცნოს და ამის შემდეგ, ყოველ მომდევნოსთან მისი კომბინაცია, ეს კი გაცილებით დიდი რიცხვია  $16 \times 1089!$ . თუმცა ყოველი ოთხი ციფრიდან ამორჩევა არ გამოადგება, შესაძლოა იყოს სამი ციფრი ერთად აღებული, ან ნაკლები, მაშინ დარჩენილი მეოთხე ციფრი, მომდევნო ციფრებთან უნდა მოიყვანოს კომბინაციაში და ა.შ.

ე.ი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმრავლე იქნება  $n \times 1089!$ , სადაც  $n$  არის ყველა განსხვავებული შემთხვევა აღებული ღია გასაღებიდან, (იხ.ნახ.1), ხოლო გატეხვის ალბათობა -  $1/n \times 1089!$ . კრიპტოგრაფიაში საიმედოობის ქვედა ზღვარი შეიძლება ვთქვათ, რომ არის  $\cong 2^{100} \cong 10^{30}$ . მიღებული რიცხვი კი გაცილებით აღემატება ქვედა ზღვარს, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეთოდი საიმედოა.

### 3. დასკვნა

- არსებულ მეთოდებში აღმოვაჩინეთ გარკვეული ნაკლოვანებები, როგორცაა: დაბალი საიმედოობა, დაბალი სიჩქარე, გარკვეული შეზღუდვები;
- შევიკუმშეთ ახალი მეთოდი, რომელიც დაყრდნობილია ქართულ ანბანზე, თუმცა სხვა ანბანისთვისაც მისაღებია;
- მიღებული მეთოდი მიეკუთვნება ასიმეტრიულ სისტემას. გამოიყენება როგორც ღია გასაღები, ასევე საიდუმლო გასაღებიც;
- ინფორმაციის დასაშიფრად გამოვიყენეთ გასაღები – ღია ტექსტისა და მართკუთხედის სახით და სხვადასხვა კანონზომიერებები;
- დაშიფრული ინფორმაცია იგზავნება ღია არხით, ყველასათვის ხელმისაწვდომია, თუმცა მესამე პირისათვის შეუძლებელია რეალურ დროში მისი გატეხვა;
- მიღებული მეთოდი მაქსიმალურად დაცულია, რასაც გვიდასტურებს სიმრავლე.

### ლიტერატურა:

1. Шнайер Б. (2003). Прикладная криптография. М., Изд. “Триумф”
2. მეგრელიშვილი რ. (2009). ინფორმაციის დაცვის სისტემები, თსუ.
3. კუციავა ვ., კაცაძე გ., დიაკონიძე ქ. (2005). ინფორმაციის დაცვა, სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“
4. ყიფშიძე ზ., ანანიაშვილი გ. (2003). ინფორმაციის თეორია, კოდირება და სინერგეტიკა, თსუ.
5. Касами Т., Токура Н., Ивадари Е., Инагаки Я. (1978). Теория кодирования. М., “Мир”.

### PROCESSING THE METHOD OF INFORMATION PROTECTION BY SCATTERING THE NUMBERS

Kotrikadze Gulnara, Danelia Nanuli, Taziashvili Giorgi

#### Summary

As we have examined and studied the Cryptography with its methods, our goal has become to receive new methods without the disadvantages which had been in the existing, well-known methods before. In addition, our desire was our method to be the original and different from the other methods. We used the public key with any form of text and based on this the rightful users would receive the secret key by successively numbering the open text and by scattering the numbers. We also calculated the set, the probability and the reliability.

### РАЗРАБОТКА МЕТОДА ЗАЩИТЫ ИНФОРМАЦИИ НА ОСНОВЕ РАССЕЯНИЯ ЧИСЕЛ

Котрикадзе Г., Данелия Н., Тазиашвили Г.

Грузинский Технический Университет

#### Резюме

Изучив методы криптографии, пришли к выводу, чтобы разработать новый оригинальный метод с высокой надежностью. Используется открытый ключ в качестве любого текста, на основе которого законные пользователи получают секретный ключ, с последовательной нумерацией открытого текста и рассеянием чисел. Представлены расчеты множества, вероятностей и надежности.

**შებრუნებადი მატრიცული მეთოდის დაბალი მძლავრობა  
და მისი გაშიფვრის გზები**

გულნარა კოტრიკაძე, ქეთევან ცომაია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

განიხილება კრიპტოგრაფიული სისტემები და მეთოდები. ჩვენი მიზანია მატრიცული მეთოდის „გატეხვა“, ამიტომ ნაშრომში კონკრეტულად მოცემულია შებრუნებული მატრიცის გამოყენებით საწყისი ინფორმაციის დაშიფვრა-დეშიფრაციის პროცესი. აღნიშნული მეთოდის შემთხვევაში, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, გამოთვლილია და დადგენილია მატრიცათა სიმრავლე, გატეხვის ალბათობა, მეთოდის დაბალი მედეგობა და გაშიფვრის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** კრიპტოგრაფია. მატრიცა. განზომილება. საიმედოობა.

**1. შესავალი**

ინფორმაციის დაცვა-გასაიდუმლოება, არის საკმაოდ აქტუალური საკითხი ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. ინფორმაციის დაცვა კრიპტოგრაფიის სახელითაა ცნობილი. იგი იყოფა ორ მიმართულებად, რომლებშიც შედის სხვადასხვა მეთოდები თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე და ამ მიმართულებებს ქვია სიმეტრიული და ასიმეტრიული სისტემები [1,2].

სიმეტრიულ სისტემებს მიეკუთვნება ისეთი მეთოდები, სადაც მომხმარებლები გასაღებს არ ითვლიან, არამედ ერთ-ერთი მომხმარებელი ირჩევს კონკრეტულ პარამეტრს გასაღების სახით და საიდუმლოდ უგზავნის მეორე მომხმარებელს, ხოლო ამ გასაღების გამოყენებით დაშიფრული ინფორმაციის გაგზავნა ხდება ღია არხით, დასაშიფრი და გასაშიფრი გასაღები არის ერთიდაიგივე.

ასიმეტრიულ სისტემებში გასაღებს ითვლის მომხმარებლები. ასევე სიმეტრიული სისტემებისაგან განსხვავებით დასაშიფრი და გასაშიფრი გასაღებები არის სხვადასხვა. გასაღების გამოთვლა მიმდინარეობს ღია არხით და დაშიფრული ინფორმაციის გაგზავნა აქაც ხდება ღია არხით [3].

ინფორმაციის გადაცემის დროს, როდესაც უპირატესობას ვანიჭებთ სიჩქარეს ვიდრე საიმედოობას, გამოიყენება სიმეტრიული სისტემის მეთოდები, ხოლო როცა ჩვენთვის უფრო ღირებული ხდება საიმედოობა ვიდრე სიჩქარე, მაშინ გამოიყენება ასიმეტრიული სისტემის მეთოდები [4].

**2. ძირითადი ნაწილი**

შებრუნებული მატრიცის მეთოდი მიეკუთვნება სიმეტრიულ სისტემებს. კანონიერი მომხმარებლები გასაღებს ანუ ამ შემთხვევაში მატრიცას არ ითვლიან, ირჩევს ერთ-ერთი მომხმარებელი და საიდუმლო გზით აწვდის მეორე მომხმარებელს და ორივე მომხმარებელს შეუძლია საიდუმლო გასაღების ანუ ამ შემთხვევაში, მატრიცის გამოყენებით, გამოთვალოს მისი შებრუნებული მატრიცა, რადგან საწყისი მატრიცა გამოიყენება ინფორმაციის დასაშიფრად და შებრუნებული მატრიცა კი - გასაშიფრად. საწყისი მატრიცის გამრავლება შებრუნებულ მატრიცაზე გვაძლევს ერთეულოვან მატრიცას. ამიტომ შებრუნებული მატრიცა გამოიყენება გასაშიფრად, რადგან დაშიფრული ინფორმაციის მასზე გამრავლებით, გასაღები ანუ საწყისი მატრიცა მოიხსნება და მიიღება საწყისი ინფორმაცია [2,4].

ვთქვათ საწყისი მატრიცა არის  $A$ , მისი შებრუნებული  $A^{-1}$ . მათი ნამრავლია  $A \times A^{-1} = I_{n \times n}$ , სადაც  $I$  არის ერთეულოვანი მატრიცა, ხოლო  $n$  არის მატრიცების ნამრავლის შედეგად მიღებული მატრიცის დიაგონალზე მოთავსებული რიცხვი. ვთქვათ  $m$  არის საწყისი ინფორმაცია. ინფორმაცია

უნდა დავყოთ ბლოკებად და ბლოკში უნდა შედიოდეს იმდენი ელემენტი, რამდენიც მატრიცის სვეტშია, ნათქვამი ავლნიშნოთ  $m_1, m_2, m_3 \dots$ .

პირველი მომხმარებელი მიღებულს ამრავლებს A მატრიცაზე, ანუ:

$$m_1 \times A = b_1, \quad m_2 \times A = b_2, \quad m_3 \times A = b_3 \dots$$

მიღებულ  $b_1, b_2, b_3 \dots$  სიდიდეებს უგზავნის მეორე მომხმარებელს ღია არხით. აღნიშნულს მიმღები ამრავლებს  $A^{-1}$ -ზე და მიიღებს საწყის ინფორმაციას, ანუ:

$$b_1 \times A^{-1} = n \times m_1, \quad b_2 \times A^{-1} = n \times m_2, \quad b_3 \times A^{-1} = n \times m_3 \dots$$

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

$$\text{საწყისი მატრიცა არის } \begin{bmatrix} 1 & 2 & 3 \\ 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix}, \text{ მისი შებრუნებული მატრიცა არის } \begin{bmatrix} 7 & 4 & 5 \\ 12 & -8 & -4 \\ -3 & 4 & 1 \end{bmatrix}.$$

$$\text{მათი ნამრავლის შედეგად მიიღება მატრიცა } \begin{bmatrix} 8 & 0 & 0 \\ 0 & 8 & 0 \\ 0 & 0 & 8 \end{bmatrix} = 8 \times \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \end{bmatrix} = n \times E, \text{ სადაც } n=8.$$

ინფორმაციის სახით ავიღეთ ქართული ანბანი თანმიმდევრობით და აღნიშნული დავშიფრეთ საწყის მატრიცაზე გამრავლებით. რადგან მატრიცის სვეტი შეიცავს 3 ელემენტს, ამიტომ ინფორმაცია დავყავით ბლოკებად, სადაც თითოეულ ბლოკში შედის 3 ელემენტი და მიღებული სტრიქონული ჩანაწერი თანმიმდევრობით გავამრავლეთ საწყის მატრიცაზე. სულ მივიღეთ 3 ელემენტისაგან შემდგარი 11 ვარიანტი, რაც ქვემოთ არის ნაჩვენები.

$$\begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (1 & 2 & 3) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (10 & 10 & 14) \end{matrix} \begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (19 & 20 & 21) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (82 & 100 & 158) \end{matrix}$$

$$\begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (4 & 5 & 6) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (20 & 25 & 38) \end{matrix} \begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (22 & 23 & 24) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (94 & 115 & 182) \end{matrix}$$

$$\begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (7 & 8 & 9) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (34 & 40 & 62) \end{matrix} \begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (25 & 26 & 27) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (106 & 130 & 206) \end{matrix}$$

$$\begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (10 & 11 & 12) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (45 & 55 & 86) \end{matrix} \begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (28 & 29 & 30) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (118 & 145 & 230) \end{matrix}$$

$$\begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (13 & 14 & 15) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (53 & 70 & 110) \end{matrix} \begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (31 & 32 & 33) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (130 & 160 & 254) \end{matrix}$$

$$\begin{matrix} 1 & 2 & 3 \\ (16 & 17 & 18) \times \begin{bmatrix} 0 & 1 & 4 \\ 3 & 2 & 1 \end{bmatrix} = (70 & 85 & 134) \end{matrix}$$

ნამრავლის შედეგი იგზავნება მეორე მომხმარებელთან ღია არხით, ანუ ყველასათვის ხელმისაწვდომია დაშიფრული ინფორმაცია. მიღებულ დაშიფრულ ინფორმაციას მეორე მომხმარებელი, ანუ მიმღები კანონიერი მომხმარებელი, ამრავლებს შებრუნებულ მატრიცაზე და  $n=8$  კოეფიციენტის გამოყენებით იღებს საწყის ინფორმაციას, ანუ ახდენს დეშიფრაციას.

რაც შეეხება მესამე პირს, ანუ არაკანონიერ მომხმარებელს, მას, როგორც ავლნიშნეთ, შეუძლია დაშიფრული ინფორმაციის დანახვა, მაგრამ ავტორის თქმით მეთოდი საიმედოა, ხასიათდება მაღალი მედეგობით და არ ტყდება მარტივად.

თუმცა, ჩვენ დავაკვირდით გამოთვლებს, მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც, მივიღეთ შემდეგი:

- (10 10 14) განაყოფი (1 2 3) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (10, 5, 4(2) )
- (20 25 38) განაყოფი (4 5 6) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (5, 5, 6(2) )
- (34 40 62) განაყოფი (7 8 9) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 6(8) )
- (46 55 86) განაყოფი (10 11 12) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(2) )
- (58 70 110) განაყოფი (13 14 15) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(5) )
- (70 85 134) განაყოფი (16 17 18) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(8) )
- 82 100 158) განაყოფი (19 20 21) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(11) )
- (94 115 182) განაყოფი (22 23 24) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(14) )
- (106 130 206) განაყოფი (25 26 27) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(17) )
- (118 145 230) განაყოფი (28 29 30) - ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(20) )
- (130 160 254) განაყოფი (31 32 33)- ზე თანმიმდევრობით გვაძლევს (4(6), 5, 7(23) )

განაყოფის შედეგებში პირველი და მეორე რიცხვები ერთიდაიგივეა 4(6) და 5, რაც შეეხება მესამე რიცხვს განაყოფი ერთიდაიგივეა და ნაშთი იზრდება 3 ინტერვალით, რადგან მატრიცის განზომილება არის 3-ის ტოლი, რაც გვიჩვენებს გარკვეულ კანონზომიერებას.

გარდა ამისა, მატრიცაში შემავალი პირველი სვეტის ელემენტების ჯამი არის 4 და შესაბამისად, პირველი განაყოფია 4(6). მეორე სვეტის ელემენტების ჯამი არის 5 და განაყოფიც არის 5. მესამე სვეტის ელემენტების ჯამი არის 8 ხოლო, ამ შემთხვევაში, განაყოფი არის 7(2)– დან დაწყებული 3 ინტერვალის ზრდადობით, ჯამში კი - ერთით მეტი.

აღნიშნულ შედეგში, რომ დაერწმუნებულიყავით, რომ ყოველთვის ასეთ შედეგს მივიღებთ, ამისათვის გამოთვლები ჩავატარეთ სხვადასხვა სამგანზომილებიანი მატრიცის გამოყენებითაც, რის საფუძველზეც მივიღეთ ანალოგიური კანონზომიერების მქონე შედეგები, უბრალოდ სხვადასხვა განაყოფების სახით. ასევე ავიღეთ ოთხ, ხუთ და ექვს განზომილებიანი მატრიცებიც, სადაც განაყოფის შედეგებში კანონზომიერება იგივე მიიღება, უბრალოდ სხვადასხვა ციფრების სახით. დავადგინეთ მატრიცის სვეტებში შემავალი ელემენტების ჯამისა და სიმრავლეს შორის დამოკიდებულება (ცხრ.1).

**სვეტის რიცხვების ჯამებისა და შესაბამისი სიმრავლის დამოკიდებულება ცხრ.1**

ჯამი	1	2	3	4	5	6	7	8	9
სიმრავლე	3	6	10	15	21	28	36	45	55
ჯამი	10	11	12	13	14	15	16	17	18
სიმრავლე	66	78	91	105	120	136	153	171	190
ჯამი	19	20	21	22	23	24	25	26	27
სიმრავლე	210	231	253	276	300	325	351	378	406

მატრიცული მეთოდის საიმედოობა არ არის დაცული, რადგან მეთოდში არის მხოლოდ საიდუმლო გასაღები, რომლის გაცვლის პროცესი მიუღებელია. გარდა ამისა ერთი გასაღები არ არის საკმარისი საიმედოობისათვის. ასევე მეთოდში არ არის გათვალისწინებული მიღებული დაშიფრული ტექსტის ნამდვილობა. მესამე პირმა შესაძლოა აიღოს ნებისმიერი მატრიცა და გაგზავნილი დაშიფრული ინფორმაცია შეცვალოს, მიიღებს კი არა აქვს შემამომწმენელი კოდი, რითაც დაადგენს მიღებულის ნამდვილობას, რაც მეთოდს კიდევ უფრო არასაიმედოს ხდის.

გარდა ამისა, ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე ასეთი მატრიცები ხშირად უნდა შეიცვალოს, თან გაცვლა მომხმარებლებს შორის უნდა მოხდეს საიდუმლოდ, ეს კი დღესდღეობით უკვე მიუღებელია და საერთოდ, რეალურ დღევანდელ ცხოვრებაში, სიმეტრიული სისტემის არცერთი მეთოდი აღარ გამოიყენება, რადგან არც ერთი არ გამოირჩევა საიმედოობით, გარდა

ვერნამის მეთოდისა [2]. ინფორმაციის დასაშიფრად უმჯობესია გამოიყენებოდეს, როგორც ღია, ასევე საიდუმლო გასაღები და ნამდვილობის დამადასტურებელი პარამეტრი.

### 3. დასკვნა

- ზემოაღნიშნული გამოთვლებიდან გამომდინარე, ღიად გაგზავნილი დაშიფრული ინფორმაციიდან, რომელიც შეუძლია ქსელის საშუალებით ჩაიჭიროს მესამე პირმა, შესაძლებელია საწყის ინფორმაციაზე გასვლა. მიღებული დაშიფრული ინფორმაციის თითოეულ რიცხვს ვყოფთ საწყის ინფორმაციაზე და ვიღებთ გარკვეულ კანონზომიერებადღე;

- დაშიფრული ინფორმაცია საწყისზე გაყოფით, გვაძლევს საინტერესო შედეგს. მიღებული პასუხები თანმიმდევრობით, ერთი და იგივე ინტერვალით იზრდება;

- ასევე მიღებული დაშიფრული ინფორმაციიდან დავადგინეთ, საწყის მატრიცაში შემავალი ელემენტების ჯამი სვეტების მიხედვით და გამოვთვალოთ ასეთი მატრიცების ყველა შესაძლო ვარიანტების რაოდენობა ანუ სიმრავლე.

### ლიტერატურა:

1. კუციავა ვ., კაცაძე გ., ლიკონიძე ქ. (2005). ინფორმაციის დაცვა. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“
2. მეგრელიშვილი რ. (2009). ინფორმაციის დაცვის სისტემები, თსუ.
3. Касами Т., Токура Н., Ивадари Е., Инагаки Я. (1978). Теория кодирования. М., “Мир”
4. Питерсон У., Уэлдон, Э. Коды, исправляющие ошибки. "Мир" 1976. I-IIтом.
5. ყიფშიძე ზ., ანანიაშვილი გ. (2003). ინფორმაციის თეორია, კოდირება და სინერგეტიკა, თსუ.

## LAW ENDURANCE OF INVERSE MATRIX METHOD AND IT'S DECODING WAYS

Kotrikadze Gulnara, Tsomaia Ketevan

Georgian Technical University

### Summary

The thesis describes Cryptography in general with its systems and methods. Taking into consideration that our goal was to break the matrix method, the work specifically provides the encryption-decryption process of the initial information using the inverse matrix. According to this case and based on the specific examples, we calculated and determined the set of matrix, breaking probability, low resistance of the method and decoding ways.

## НИЗКОЕ СОПРОТИВЛЕНИЕ МЕТОДА ОБРАТНОЙ МАТРИЦЫ И ПУТИ ЕГО ДЕКОДИРОВАНИЯ

Котрикадзе Г., Цомаиа К.

Грузинский Технический Университет

### Резюме

Описываются общие методы криптографии и рассматривается процесс шифрации-дешифрации исходной информации с использованием обратной матрицы. На конкретном примере вычислены множества матриц, вероятность взлома и пути декодирования.

## კავშირი საქართველოში ინფლაციის დონესა და უმუშევრობის კოეფიციენტს შორის. ფილიპსის მრუდი

სალომე მუხაშავრია, ელენე მეტრეველი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოში ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და მათი შესაძლო შედეგები, განხილულია რა პრობლემები ახლავს ქვეყანაში ინფლაციის დონის მატებას, რა როლი აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში და ვინ არის პასუხისმგებელი ამ პროცესებზე. ნაშრომში განისაზღვრება კავშირი ინფლაციის დონესა და უმუშევრობის კოეფიციენტს შორის. ჩატარებულია შესაბამისი კორელაციური და რეგრესიული ანალიზი და აგებულია ფილიპსის მრუდი Mathcad პროგრამის გამოვიყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** კორელაცია. ინფლაცია. ფილიპსის მრუდი.

### 1. შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი, რომელიც საზოგადოების დიდ ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევა და საზოგადოების სოციალური დაძაბულობის გაზრდას იწვევს; რაც თავის მხრივ ამძიმებს სოციალურ ფონს, თუმცა, ხელს აძლევს მეწარმეებს, რადგან მათ შეუძლიათ მცირე ხელფასის პირობებში აიძულონ უმუშევარი, რომ დათანხმდნენ მძიმე სამუშაოს შესრულებას.

ასევე, სახელმწიფოებრივი ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით, ევრო-წოდებულ გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვლდებულობთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება. ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა წარმოების საქონლის გაზრდილი მოცულობის რეალიზაცია იქნებოდა შესაძლებელი იგივე ფასში, ანუ, თუ, არ დაირღვეოდა მიწოდება-წინადადების არსებული თანაფარდობის ფასში გამოსახული მაჩვენებელი.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 11,2-პროცენტთან ინფლაციაში სურსათის გაძვირების წილი 9.5 პროცენტული პუნქტია. ეს იმას ნიშნავს, რომ საკვები პროდუქტების ნაწილზე ფასი არა 11%-ით, არამედ გაცილებით მეტად გაიზარდა. მაგალითად, შაქარზე ფასის ზრდამ 50%-ს მიაღწია.

საქართველოში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი, პირველ რიგში, ეროვნული ბანკია. კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ინფლაცია 10 პროცენტს გადააჭარბებს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ერთნიშნა ინფლაციის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად ფინანსთა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრებსაც ეკისრებათ.

მაღალი ინფლაცია მხოლოდ მთავრობის მიერ გატარებულ არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში, ეს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდაა. ცნობილი აქსიომაა: ფასები მატულობს მაშინ, როცა პროდუქტების და მომსახურების მიწოდება არ იზრდება, ან არ იზრდება მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შესაბამისად.



საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ეროვნული ბანკი ახორციელებს. მიმოქცევაში ჭარბი ფულის "ნებით" თუ "უნებლიეთ" გაშვება სწორედ ეროვნული ბანკის მისიაა. ჭარბ ფულს კი, როგორც წესი, მთავრობები საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად მოიხმარენ.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციით, საქართველოს დონის ქვეყანაში ინფლაციის პარამეტრი 6-7 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამ ნიშნულზე უფრო მაღალი ინფლაცია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ამუხრუჭებს და კიდევ უფრო აღარბებს ფიქსირებული შემოსავლის მქონე მოსახლეობას.

4 მილიონიანი ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი - 1 მილიონ 761 ათასზე მეტი ადამიანი(45%) - სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაშია დარეგისტრირებული და სახელმწიფოსგან საარსებო შემწეობას ითხოვს, მაღალი ინფლაცია განსაკუთრებით დიდი პრობლემაა.

1998 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე საქართველოში გაიზარდა 12.4%-დან 16.3%-მდე 2010 წლის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის კვლევითი მეთოდოლოგიის მიხედვით ,, 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი ორი კვირის განმავლობაში.“ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უმუშევრობის დონე კიდევ უფრო საგანგაშოა. მეტიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 16,161 გამოკითხულიდან 67% რესპოდენტი თავს უმუშევრად თვლის.

უმუშევრობაზე საუბრისას, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეკონომისტები ყურადღებას აქცევენ, შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეა. 2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს.

ამავე დროს, მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშის მიხედვით (2011-1012 წლები), ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეგრედ წოდებულ „სტრუქტურულ უმუშევრობას“ განიცდის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან.

## 2. კორელაციური ანალიზი

განვიხილოთ დამოკიდებულება, საქართველოში ინფლაციისა და უმუშევრობის დონეთა შორის ნახ.1, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში ჩნდება. როგორც ეკონომისტები გვარწმუნებენ, მოკლევადიან პერიოდში ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებობს ალტერნატივა, რაც გულისხმობს შემდეგს:

**უმუშევრობის შემცირება იწვევს მოთხოვნის, შესაბამისად ფასების ზრდას, რაც ნიშნავს იმას, რომ იზრდება ინფლაცია. და პირიქით, დასაქმებულთა რიცხვის შემცირება ანელებს ინფლაციის ზრდას.**

ეს დამოკიდებულება გამოისახება ფილიპის შესაბამისი მრუდით.

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესწავლისას, ხშირად გვაქვს ამოცანა: გავარკვიოთ სხვადასხვა გნმსაზღვრელ მახასიათებელ სიდიდეებს შორის როგორი ანალიზური კავშირია. ასეთი

მოცანების ამოსახსნელად ატარებენ მონაცემების კორელაციურ ნალიზს. განვიხილოთ სიტუაცია, როცა ექსპერიმენტის შედეგად გვაქვს ორი განმსაზღვრელი პარამეტრი X და Y მნიშვნელობათა მონაცემები. მაგალითად უმუშევრობა და ინფლაციის ხარისხი.

ასე რომ, მონაცემები წარმოადგენს  $\{(x_i, y_i)\}_{i=1}^n$  წყვილების სიმრავლეს, სადაც n ექსპერიმენტულ მონაცემთა რაოდენობაა. X და Y სიდიდეთა მონაცემების სტატისტიკური დამუშავების გარდა, ისმის კითხვა: დამოუკიდებელია ეს სიდიდეები, თუ არა? თუ არ არის დამოუკიდებელი, მაშინ როგორია მათ შორის კავშირი (წრფივი თუ არაწრფივი)?

ამ კითხვზე პასუხის გასაცემად ავებენ X და Y სიდიდეთა შორის შესაძლო დამოიდებულების გრაფიკულ სურათს, ნახ.1. საიდანაც ვიზუალურად ჩანს მათ შორის არის თუ არა ფუნქციონალური დამოკიდებულება. თუ მონაცემების შესაბამისი წერტილები ჯგუფდება რომელიმე წრფის მახლობლობაში, მაშინ ამბობენ, რომ ეს სიდიდეები კორელირებენ და მათ შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება. თუ რამდენადაა ეს მონაცემები ერთმანეთთან დაკავშირებული, მოიცემა კორელაციის კოეფიციენტის სიდიდის მიხედვით.

თუ X და Y სიდიდეთა შორის წრფივი დამოკიდებულებაა, მაშინ კორელაციის კოეფიციენტი უნდა იღებდეს 1 ან -1 მნიშვნელობას. რაც უფრო ახლოა ამ მნიშვნელობებთან კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა, მათ შორის დამოკიდებულება მით უფრო ახლოა წრფესთან თუ, კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა ახლოსაა ნულთან, მაშინ ამ სიდიდეებს შორის არაა წრფივი დამოკიდებულება, ანუ, დამოკიდებულება ან არაწრფივია, ან საერთოდ არ კორელირებენ ეს სიდიდეები. განვიხილოთ შესაძლო კავშირი წლიურ ინფლაციის დონესა და უმუშევრობის კოეფიციენტს შორის. ამისათვის ვისარგებლეთ არსებული ოფიციალური მონაცემებით (ცხრ.1 და ცხრ.2).

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

ცხრ.1

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109.2	109.2	110.0	101.7	107.1	108.5	99.1	99.5
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	108.8	111.0	105.5	103.0	111.2	102.0	98.6	102.4
წლიური ინფლაციის დონე	8.8	11.0	5.5	3.0	11.2	2.0	8.6	2.4

დასაქმება და უმუშევრობა

ცხრ.2

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
დასაქმებული	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1
უმუშევარი	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8
უმუშევრობის კოეფიციენტი	0.136	0.133	0.165	0.168	0.163	0.151	0.151	0.146

წლიურ ინფლაციის დონესა და უმუშევრობის კოეფიციენტს შორის კავშირის შესასწავლად, გამოთვალეთ შესაბამისი კორელაციის კოეფიციენტი, რაც ჩვენი ანგარიშით ახლოსაა ნულთან.

ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირი ან არ არსებობს, ან არაწრფივია. შევადგინოთ პროგრამა Mathcad-ზე და ჩავატაროთ შესაბამისი რეგრესიული ანალიზი (ნახ.1).

$$X := \begin{pmatrix} 2.0 \\ 2.4 \\ 3.0 \\ 5.5 \\ 8.6 \\ 8.8 \\ 11.0 \\ 11.2 \end{pmatrix} \quad Y := \begin{pmatrix} 0.151 \\ 0.146 \\ 0.168 \\ 0.165 \\ 0.151 \\ 0.136 \\ 0.133 \\ 0.163 \end{pmatrix} \quad n := 8$$

$$f(x, a, b, c) := a \cdot x^2 + b \cdot x + c$$

$$I(a, b, c) := \sum_{i=0}^{n-1} (Y_i - f(X_i, a, b, c))^2$$


Given

$$a := 1 \quad b := 1 \quad c := 1$$

$$R := \text{Minimize}(I, a, b, c)$$

$$R = \begin{pmatrix} -0 \\ 0.002 \\ 0.153 \end{pmatrix}$$

$$g(x) := R_0 \cdot x^2 + R_1 \cdot x + R_2$$



ნახ.1. ფილბისის მრუდი

### 3. დასკვნა

როგორც ვხედავთ, არაწრფივი რეგრესია საკმაოდ კარგ მიახლოებას იძლევა უმუშევრობისა და ინფლაციის კოეფიციენტის ურთიერთდამოკიდებულების შესასწავლად. რეგრესიის წირიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფლაციის გაზრდით, უმუშევრობა კლებულობს, რაც სწორედ ფილიპის მრუდის იდეას შეესაბამება.

#### ლიტერატურა:

1. ობგაძე თ. (2007). მათემატიკური მოდელირების კურსი, ტომი 2, სტუ, თბილისი.
2. . . (1999). . . . .

### DEPENDENCE BETWEEN THE RATE OF INFLATION AND UNEMPLOYMENT RATE IN GEORGIA. PHILLIPS'S CURVE

Mukhashavriya Salome, Metreveli Elene

#### Summary

In work communication between a rate of inflation and possible consequences is considered, the problems connected with inflation growth, an inflation role in development of social and economic processes of the country consideration. In work, communication between a rate of inflation and coefficient of unemployment is defined. The corresponding correlation and regression analysis is carried out and Phillips's curve because of application of the Mathcad program is under construction.

### ЗАВИСИМОСТЬ МЕЖДУ УРОВНЕМ ИНФЛЯЦИИ И КОЭФФИЦИЕНТОМ БЕЗРАБОТИЦЫ В ГРУЗИИ. КРИВАЯ ФИЛЛИПСА

Мухашаврия С., Метревели Э.

#### Резюме

Рассматривается вопрос связи между уровнем инфляции и возможными последствиями. Выделяются проблемы, связанные с ростом инфляции. Обсуждается роль инфляции в развитии социально-экономических процессов страны. В работе определяется связь между уровнем инфляции и коэффициентом безработицы. Проводится соответствующий корреляционный и регрессионный анализ и строится кривая Филлипса на основе применения программы Mathcad.

## CONCEPT OF AUTOMATED MANAGEMENT OF MULTIMODAL FREIGHT TRANSPORTATION BUSINESS PROCESSES

Gogichaishvili Giorgi, Surguladze Giorgi  
Georgian Technical University

### Abstract

Article discusses concept of automated management of business processes in multimodal freight transportation. Objects such as port, ship, airplane, train, customs, truck, etc. are discussed. In the analysis, attention is devoted to identification of factors that affect efficiency of transportation process (time, costs, etc.), its business processes and business rules. Business processes of multifunctional shipments have to be analyzed, classified, structured and optimized based on systematic approach (analysis) and methods of operational research. An imitative model of system management has to be designed based on graphical model of Petri nets and methodology of conducting computer experiments has to be developed in order to make optimal decisions. A common concept has to be developed with an objective to design multimodal shipment process support computer system and to develop it based on object-oriented programming and unified databases.

**Keywords:** Multimodal freight transportation. Business process. Management Information Systems. BPMN. UML. ERP. Service Oriented Architecture.

### 1. Importance and Topicality of Concept

Study and solution of problem areas in multimodal freight transportation business process automated management is very important as from international perspective, as well as specifically for Georgia. It is of current importance on a regional scale (Georgia, transcaucasia, corridor to Central Asiatic, etc.). The concept itself is of a complex nature and less studied. The topic requires applying of systematic attitude as well as ability of multifunctional reasoning in terms of management, logistics, information and software support.

First of all, initial information for conducting systematic analysis and identifying problem areas has to be collected. Present concept can be attributed to the category of large and complex information systems, which involves conducting computerized imitation studies for the distributed system of multimodal freight transportation based on modeling of hardly formalized, stochastic processes.

In addition, establishing assessment system is needed for the respective results from the aforementioned imitation studies that will act as a basis for developing a computer support system that is undoubtedly of high topicality and importance.

If we look at the current state of research of this problem, we will see that as secondary, internet-based research shows, there is scarcity of literature sources on multimodal freight transportation. The field itself is basically related to provision of transportation services, logistics and freight forwarding management. In practice, various companies all over the world operating within transportation industry perform various activities (for instance, shipment of automobiles from Japan, US, European countries, etc). There is a scarcity of materials depicting theoretical and scientific research, while those of a complex, systematic research are not found at all.

## 2. Research Object

Research has to be done on Georgia's air, sea, rail and road multimodal freight transportation system. Algorithms will be developed to optimize complex work activities that occur in this system and to developing a computer support system based on them. Research object of the multimodal freight transportation is complex and involves a number of objects (resources).

As already mentioned above, research object deals with four modes of transport: sea, air, rail and road. A chain of multimodal freight shipment may involve a combination of two or more transport modes (e.g. ship-rail or truck-ship-rail-truck, etc). Each shipment has a transit time which may depend on a number of factors: distance, routing, shipment time/season, port operating capacity/functioning, customs documentation, etc.

Such factors directly influence duration of a shipment's transit time. In practice, rarely can be found a shipment in case of which total actual transit time is the same as the planned one. In fact, common are those events or happenings that could not have been foreseen at the time the shipment was being planned. Same can be said about shipment costs that like transit time (but with less influence) may vary or considerably change during the transportation process.

Analysis of a whole multimodal transportation chain has to be done and complex processes existent in it have to be optimized based on simulation modeling.

In order for the analysis of a shipment chain to take place a thorough study and analysis of objects comprising it has to be done.


## 3. Defining Objects and their Attributes

For instance, sea port structures vary, they comprise of a territory and aquatory, rail and automotive ways, various objects of telecommunication, civil and manufacture facilities, storehouses, security structures, berths, coast protection structures and others (Figure 1).

Dynamic objects of a sea port are ships (passenger, cargo, mixed), rail wagons (closed, open, special), cranes (port, bridge, cable, crawler, motor, rail), shipment machinery (auto, electric, etc.), cargo (bulk, general), teams of workers, etc.

The above listed objects influence a transportation process and consequently they have to be taken into account at the stages of shipment planning and effectuation. Ineffective planning of cargo related port activities in a shipment chain may lead to delays, fines (extra charges of demurrage or detention) that will have direct negative affect efficiency of transportation process. Consequently, the future computer support system should act as a mean of facilitation for an organizer of a shipment and help solve such problems as:

- 1) Minimization of a ship or wagon detention/demurrage time;
- 2) Usage of load/unload means at mazimum capacity (cranes, special machinery, etc.);
- 3) Effective planning of port transit taimе.



In general, solve the problem of timely and efficient passage of cargo to the next, further mean of transport in the shipment chain.

**Cargo:** Identifier, type, condition, type of packaging, unit dimensions (length, width, height), unit volume, total volume, unit weight, quantity of units, total weight, dangerous/non-dangerous, customs code, shipper, consignee, origin, destination, etc;

**Ship:** Identifier, type, craned/non-craned, condition, storage limit, load capacity, volume, location, location, etc.;

**Berth:** Identifier, length, depth, allowable load, specialisation, release time, passage/bandwith (power), attribution to district, etc.;

**Warehouse:** Identifier, type, area, floor/store, percentage occupied, allowable load, location, address, attribution to district, etc.;

**Crane:** Identifier, type, lifting capacity, maximum arrow length, minimum arrow length, lifting height, hook release (sink) depth, lifting speed, rotation speed, hook height change speed, speed, total weight, location, etc.;

**Airplane:** Identifier, type, condition, volume, maximum transportable unit dimensions (length, width, height) location, etc.

**Truck:** Identifier, type, condition, load volume, allowable dimensions of a freight unit (length, width, height), allowable unit weight, maximum payload, location, etc.;

**Work crew** - Identifier, type, qualified members, number of members, location, type of work to be performed, output norm, technological work scheme, etc.;

**Shipment route** - Identifier, origin (town/country), exit point/location, transit destination(s), final\_destination (town/country), entrance point/location, distance, transit time (plan.), transit time (act.), etc.;

**Shipment term:** Identifier, origin term, destination term (International shipping terms - INCOTERMS).

D-Network of a sea port district can be given as Figure 2 shows [4,5].




Figure 2. D-network Seaport

Converters that play flow commutation role in objects are gathered into a single commutator. Sources that correspond to ships model patterns of cargo vessels (coal, ore, wood, etc.) entering the port. There exist also vessels that carry fruits, vegetables, sugar, salt and other types of products.

Objects formed from the source-entrance go via commutator either to converter or outflow current. Role of this current is performed by ships and trains that receive cargo and further move out of the port area. Outflow objects and converters have characteristics with values that change once they enter the commutator exit. Change in values of characteristics occur in accordance with the graphs of converters and source passages.

#### 4. Conclusions

Project envisages systemic research of processes of multimodal freight transportation (Air, Sea, Rail, Automotive) with the objective to optimize its business processes using market analysis and enterprise resource planning systems [6]. First time within this project building an imitative model of managing multimodal freight transportation is given based on mathematical tool –



Coloured Petri Nets (CPN) and mass service theory (Markov processes) [7,8]. Pilot version software of the system will be implemented using service-oriented architecture (SOA), process-oriented modeling (BPMN) and object-oriented approach – Unified Modeling Language (UML) technologies [6,9].

#### References:

1. Virginia Multimodal Freight Plan. (2013). Draft Report. Prepared by Cambridge Systematics, Inc. 8573.230. [http://www.cppdc.org/Transportation\\_Data/Virginia\\_Multimodal\\_Freight\\_Plan\\_11.01.13\\_Draft\\_Final\\_with\\_appendices.pdf](http://www.cppdc.org/Transportation_Data/Virginia_Multimodal_Freight_Plan_11.01.13_Draft_Final_with_appendices.pdf)
2. Multimodal Freight Transportation Within the Great Lakes–Saint Lawrence Basin. (2012). NCFRP Report 17. National cooperative freight research program. Transportation research board 2012 executive committee (Chair: Sandra Rosenbloom). Washington. [http://onlinepubs.trb.org/onlinepubs/ncfrp/ncfrp\\_rpt\\_017.pdf](http://onlinepubs.trb.org/onlinepubs/ncfrp/ncfrp_rpt_017.pdf)
3. Наумов В.С. (2012). Транспортно-экспедиционное обслуживание в логистических системах. Монография. Харьков. ХНАДУ. [https://www.academia.edu/5120333/Наумов\\_В.С.\\_Транспортно\\_экспедиционное\\_обслуживание\\_в\\_логистических\\_системах](https://www.academia.edu/5120333/Наумов_В.С._Транспортно_экспедиционное_обслуживание_в_логистических_системах)
4. Meyer-Wegener K., Petriashvili L., Surguladze G. (2014). Decision support system for optimization of seaport resource. III internat. Scientific Conference. Computing / Informatics, Education Sciences, Teacher Education. Batumi, Georgia, pp.44
5. Klikov U. (1979). Basics of Situational Control. M., МЕРФИ.
6. Surguladze Gia, Kristesiashvili Khatia, Surguladze Giorgi (2014). Modeling and Research of Business Processes of Enterprise Resource Management. Monogr., GTU, Tbilisi. [http://gtu.ge/book/gia\\_sueguladze/GiaSurgul\\_BPMN\\_ERP\\_2014.pdf](http://gtu.ge/book/gia_sueguladze/GiaSurgul_BPMN_ERP_2014.pdf)
7. Gogichaishvili G., Surguladze G., Topuria N., Urushadze B. (2014). Construction of Management Information Systems of Distributed Business Processes Based on Petri Networks and Object-Role Modeling. Georgian National Academy of Sciences, Bulletin "Moambe", vol.8, N.1, pp.58-64
8. Gogichaishvili G., Bolch G., Surguladze G., Petriashvili L. (2013). Tools of Object-oriented Design and Modelling of Automated Control Systems (MsVisio, WinPepsy, PetNet, CPN). ISBN978-9940-56-77-8. Monogr., GTU, Tbilisi
9. Surguladze G., Bulia I. (2012). Integration and Building of Web-Applications for Enterprises. ISBN978-9941-20-165-3. Monogr., GTU, Tbilisi.

**მულტიმოდალური გადაზიდვების ბიზნეს-პროცესების  
ავტომატიზებული მართვის კონცეფცია**

გიორგი გოგიჩაიშვილი, გიორგი სურგულაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

განხილვა მულტიმოდალური გადაზიდვების ავტომატიზებული მართვის კონცეფცია, ისეთი ობიექტები, როგორცაა პორტი, გემი, თვითმფრინავი, მატარებელი, საბაჟო, ავტოტრანსპორტი და სხვა. თითოეულის გაანალიზებისას ყურადღება ეთმობა ისეთი ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც შესაძლოა ზემოქმედებდეს მულტიმოდალური გადაზიდვის ეფექტურობაზე (დრო, ხარჯი და ა.შ.). გამოსაკვლევი საქართველოში მულტიმოდალური გადაზიდვების სისტემის მდგომარეობა, მისი ბიზნეს-პროცესების და ბიზნეს-წესების ერთობლიობა. სისტემური მიდგომის (ანალიზის) და ოპერაციითა კვლევის მეთოდების საფუძველზე უნდა განხორციელდეს მრავალფუნქციური გადაზიდვების პროცესების ანალიზი, კლასიფიკაცია, სტრუქტურისა და ოპტიმიზაცია. უნდა შემუშავდეს ამ სისტემის მართვის იმიტაციური მოდელი პეტრის ქსელების გრაფული მოდელის საფუძველზე და მოხდეს კომპიუტერული ექსპერიმენტების ჩატარების მეთოდის შემუშავება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. უნდა შემუშავდეს ერთიანი კონცეფცია მულტიმოდალური გადაზიდვების პროცესების სრულყოფის მიზნით მხარდაჭერი კომპიუტერული სისტემის ასაგებად და მის სარეალიზაციოდ ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამებისა და მონაცემთა ერთიანი ბაზების საფუძველზე.

**КОНЦЕПЦИЯ АВТОМАТИЗИРОВАННОГО УПРАВЛЕНИЯ БИЗНЕС-ПРОЦЕССАМИ  
МУЛЬТИМОДАЛЬНОЙ ТРАНСПОРТИРОВКИ**

Гогичаишвили Георгий, Сургуладзе Георгий  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассматривается концепция автоматизированного управления мульти-модальными перевозками грузов, с такими объектами как порт, судно, аэропорт, самолет, железнодорожный- и автотранспорт, таможня и т.д. При анализе каждого вида транспорта особое внимание уделяется выявлению таких факторов, которые могут воздействовать на эффективность мультимодальных перевозок (время, расходы и т.д.). Следует исследовать состояние мультимодальных перевозок в Грузии, их бизнес-процессов и бизнес-правил. На основе системного подхода и исследования операций анализируется, классифицируется, структурируется и оптимизируется процесс многофункциональной перевозки. Разрабатываются имитационная модель этой системы с помощью графовой модели сетей Петри и методика проведения компьютерных экспериментов с целью выработки приемлемых решений. Разрабатывается единая концепция построения поддерживающей компьютерной системы для совершенствования процессов мультимодальной транспортировки грузов и их программной реализации на основе объектно- и сервис-ориентированного подходов и единой распределенной базы данных.

**საფინანსო კორპორაციის ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი  
ITIL მეთოდოლოგიის საფუძველზე**

გია სურგულაძე, ეკატერინე თურქია, თინათინ ქაჩლიშვილი,  
ციური ფხაკაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

განიხილება ფინანსურ კორპორაციებში ბიზნეს-პროცესების და მასთან დაკავშირებული IT-ინფრასტრუქტურის მართვის ადამიანური, ტექნიკური, ფინანსური და დროითი რესურსები. კერძოდ, გაანალიზებულია შიგა და გარე რეპორტირების საქმისწარმოების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებით. შესაბამისი პროგრამული სისტემის შექმნის კონცეფცია ITIL მეთოდოლოგიის საფუძველზე, ობიექტ-ორიენტირებული, პროცეს-ორიენტირებული და სერვის-ორიენტირებული არქიტექტურების გამოყენებით. განიხილება პროგრამული ინჟინერიის UML ტექნოლოგია და მისი CASE საშუალებები, ფინანსური ორგანიზაციის რეპორტირების საინფორმაციო სისტემის მონაცემთა განაწილებული ბაზის აგების საკითხი ობიექტ-როლური მოდელირების მეთოდით, მომხმარებელთა ფუნქციური ამოცანებისა და მოქნილი ინტერფეისების დაპროგრამების მეთოდები და ინსტრუმენტული საშუალებები.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული სისტემა. ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი. ITIL მეთოდოლოგია. რეპორტირების პროცესის ავტომატიზაცია. პროგრამული ინჟინერია. UML. CASE.

**1. შესავალი**

თანამედროვე ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, დანერგვის და ექსპლუატაციის საკითხების გადაწყვეტა, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე, სადაც გამოყენებული იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიებისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტები, აქტუალური და მნიშვნელოვანია.

დღეისათვის დიდი ყურადღება ეთმობა პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხისა და სერვისის ფაქტორების სრულყოფას, რისთვისაც შემუშავებულია რიგი საერთაშორისო სტანდარტები, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების, ისე მზა პროდუქტის IT აუდიტირების მხარდასაჭერად. ასეთი საერთაშორისო სტანდარტებია ISACA, ISO, COBIT, IEC/IEEE, ITIL, ITSM და სხვა [1-3].

IT-ინფრასტრუქტურის ხარისხიანად ფუნქციონირებისა და ბიზნესის მოთხოვნების შესაბამისად მხარდაჭერის მიზნით განსაკუთრებით მოქნილია ITIL (Information Technology Infrastructure Library) სტანდარტი, რომელიც გვთავაზობს დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფის შემდგომი მხარდაჭერის სერვისებს, ანალიზებს ბიზნესის მიზნებს და ამოცანებს, რის საფუძველზეც გვთავაზობს იმ IT-სერვისებს და ერთეულებს, რომლებიც აუცილებელია კორპორაციის მართვისთვის [1].


სერვის-მოდელი, რომელთაც ITIL გვთავაზობს, გვეხმარება IT-სფეროს სირთულეების, ხარჯების, მოქნილობის და მრავალსახეობის მართვაში. ყოველ მოდელს აქვს გამოყენების ვარიანტების სიმრავლე კონკრეტული შემთხვევისგან დამოკიდებულებაში, რაც მისი გამოყენების იდეას ზღის უნივერსალურს, მოქნილს და ეფექტურს. ის გვთავაზობს სრულიად ახალ მიდგომას. IT სამსახური ანალიზებს ბიზნესის მიზნებს და ამოცანებს და აქედან გამომდინარე, გვთავაზობს სერვისებს, რომლებიც ნამდვილად სჭირდება ბიზნესს.

კორპორაციის მოქნილად მართვა დღეს შეუძლებელია საინფორმაციო სისტემების გარეშე. მსხვილი კორპორაციების შემთხვევაში მენეჯმენტისთვის, ბიზნეს-მოთხოვნების მუდმივი ზრდიდან გამომდინარე, რთულდება IT-ინფრასტრუქტურისა და ბიზნეს-პროცესების ერთობლივი მართვა. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს რეპორტირების პროცესებს, რაც ერთის მხრივ, იძლევა ინფორმაციას არსებული ბიზნეს-პროცესების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, ახდენს იდენტიფიკაციას ამ ბიზნეს-პროცესების შესაბამისი მართვის მხარდამჭერი IT-ინფრასტრუქტურის (ავტომატიზებული მოდულები, სერვერები, სერვისები და სხვ.) არსებულ და გასავითარებელ მდგომარეობაზე.

სტატიის მიზანია ფინანსურ კორპორაციაში ბიზნეს-პროცესების მართვის სრულყოფის კონცეფციის შემუშავება ITIL სტანდარტზე ბაზირებული კონსოლიდირებული რეპორტირების ანალიტიკური ავტომატიზებული სისტემით. კონსოლიდირებული რეპორტირების ფარგლებში განიხილება, როგორც ბიზნეს-პროცესების შესაბამისი მართვის მხარდამჭერი IT-ინფრასტრუქტურის სისტემიზაცია, ისე ანალიტიკური ხასიათის პროცესებისა და მოთხოვნების რეალიზაცია.

## 2. ძირითადი ნაწილი

საფინანსო ორგანიზაციაში რეპორტირების ბიზნეს-პროცესი, ზოგადად, შეიძლება ასე განვსაზღვროთ: „საწყის ეტაპზე ხდება ყოველთვიური ანგარიშგებათა (რეპორტების) მომზადება (მაგალითად, კომერციულ ბანკებში). შემდეგ კომერციული ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ტვირთავს მომზადებულ ანგარიშგებას სპეციალურ პორტალზე. პორტალიდან (მაგალითად, ეროვნული ბანკის) შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ახდენს ფაილების ფიზიკურ გადაწერას ფაილსერვერზე და ასევე ფაილში შემავალი მონაცემების შეტანას მონაცემთა ბაზაში, შემდგომი დამუშავების მიზნით. ფაილსერვერზე არსებულ ფაილებში მოწმდება, შეესებათ თუ არა ტექნიკურად ბანკების მიერ წარმოდგენილი რეპორტები დადგენილ ნორმებს. ასევე ბაზაში შეტანილი მონაცემები მოწმდება შინაარსობრივად შეესაბამება თუ არა ისინი დადგენილ ნორმებს. ტექნიკური ან შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ხდება კომერციულ ბანკებთან დაკავშირება და არსებული ხარვეზების გასწორების მოთხოვნა. შესწორებული რეპორტები თავიდან იტვირთება ზემოაღნიშნულ სპეცპორტალზე. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში ხდება ბაზაში მონაცემების ანალიტიკური დამუშავება, შემდგომ მათი შეჯამება და ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრა. ამის შემდეგ, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მზადდება სპეციალიზებული რეპორტები და ეგზავნება ისინი როგორც შიგა, ასევე გარე მომხმარებლებს“.



ნახ.1. ITIL-ეტაპები

დაგეგმვის ეტაპზე ბიზნეს ანალიტიკოსმა უნდა გამოიკვლიოს ამოცანები, კერძოდ „რეპორტირების“ არსებული სისტემა შესაბამისი მიზნის განსაზღვრისთვის, სტრატეგიის აგების დანიშნულებაა სერვისების მიმწოდებელმა შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და გადაწყვიტოს,

შედგებს თუ არა იგი განახორციელოს სერვისული პროტოკოლის მოთხოვნები ყველა ხარჯის და რისკის გათვალისწინებით [1,5]. სერვისის დაპროექტების ეტაპზე აღიწერება ძირითადი პრინციპები და მოდელირების მეთოდები სტრატეგიული მიზნების გარდაქმნისათვის განსაზღვრული ხარისხის კონკრეტული სერვისების ერთობლიობაში. იგი მოიცავს ასევე ახალი სერვისების შექმნის, არსებულის ცვლილების და სრულყოფის საკითხებს სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში, რაც აუცილებელია მის ფასეულობათა ასამაღლებლად მომხმარებელთა და ინტეგრაციის კონცეფციის თვალსაზრისით [6]. მეტად მნიშვნელოვანი ეტაპებია სერვისების დანერგვა და ექსპლუატაცია, და ბოლოს, სერვისის უწყვეტი სრულყოფა. იგი მდგომარეობს სერვისის ფასეულობის ამაღლების მეთოდების და საშუალებების აღწერაში სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე სრულყოფის რეალიზაციის გზით. ეს ეტაპი აერთიანებს თავის თავში ხარისხის, ცვლილებების და მწარმოებლურობის სრულყოფის მართვის პრინციპებს, პრაქტიკასა და მეთოდებს [1].

ფინანსური კორპორაციის მართვის სისტემის ფარგლებში „რეპორტინგის“ ამოცანის ავტომატიზებული გადაწყვეტის მიზნით, შემუშავებულ იქნა აღნიშნული მოდელები (ნახ.2, ნახ.3). პირველი აღწერს ბიზნეს-პროცესში მონაწილე როლებს და მათ ფუნქციებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან მემკვიდრეობითობის, საკომუნიკაციო, აგრეგატული და რელაციური კავშირებით [7]. მეორე დიაგრამა ასახავს „რეპორტინგის“ ამოცანის ბიზნეს-პროცესს (Workflow) და იმ ბიზნეს-წესებს, რომლებითაც ხდება რეალური პროცედურების მართვა. ამ სქემის შესაბამის პროცედურათა მნიშვნელოვანი მოცემულია ქვემოთ:

// -- ლისტინგი-1: რეპორტინგის აქტიურობათა დიაგრამის შესაბამისი ტექსტი ---

0. დასაწყისი

1. საწყის ეტაპზე ხდება ყოველთვიური ანგარიშგებების მომზადება კომერციულ ბანკებში.

2. შემდეგ კომერციული ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ტვირთავს მომზადებულ ანგარიშგებას სპეციალურ პორტალზე.

3.1. პორტალიდან ეროვნული ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ახდენს ფაილების ფიზიკურ გადაწერას ფაილსერვერზე და

3.2. ასევე ფაილში შემავალი მონაცემების შეტანას MsSQL Server ბაზაში შემდგომი დამუშავების მიზნით.

4.1. ფაილსერვერზე არსებულ ფაილებში მოწმდება - ტექნიკურად შეესაბამება თუ არა ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებები დადგენილ ნორმებს,

4.2. ასევე ბაზაში შეტანილი მონაცემები მოწმდება შინაარსობრივად - შეესაბამება თუ არა ისინი დადგენილ ნორმებს.

5. ტექნიკური ან შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ხდება კომერციულ ბანკთან დაკავშირება და ანგარიშგებების რედაქტირების მოთხოვნა,

6. შემდეგ კომერციული ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი თავიდან ტვირთავს სპეციალურ პორტალზე რედაქტირებულ ანგარიშგებებს.

7. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში ხდება ბაზაში მონაცემების ანალიტიკური დამუშავება,

8.1. შემდგომ მათი შეჯამება და


8.2. ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრა.

9. მზადდება სპეციალიზებული ანგარიშგებები, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით

10.1. სპეციალიზებული ანგარიშგებები ეგზავნება შიგა მომხმარებლებს და

10.2. სპეციალიზებული ანგარიშგებები ეგზავნება გარე მომხმარებლებს.


11. დასასრული



ნახ.2. UseCase დიაგრამა

### 3. დასკვნა

ამგვარად, საპრობლემო სფეროს IT-სერვისის ან პროგრამული სისტემის დაპროექტების, რეალიზაციის და ექსლუატაციის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წინასაპროექტო სტადიაზე ანალიზური კვლევის და ამოცანის სწორად ჩამოყალიბების შედეგებზე. უნიფიცირებული მოდელირების ტექნოლოგიის (UML) საფუძველზე მას შეესაბამება ბიზნეს-მოთხოვნილებათა განსაზღვრის ეტაპი (UseCase და Activity დიაგრამები) და მომხმარებელთა ინტერაქტიული პროცედურების (სცენარების) აგების ეტაპი (Sequence Collaboration დიაგრამები) [4]. ITIL მეთოდოლოგიის სტანდარტებით კი შესაძლებელია უსაფრთხო პროგრამული სისტემის შექმნა და მისი სასიცოცხლო ციკლის ეფექტიანი მართვა.



ნახ.3. Activity დიაგრამა: ამოცანისათვის - „საბანკო რეპორტების დამუშავება“

### ლიტერატურა:

1. სურგულაძე გ., ურუშაძე ბ. (2014). საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება (BSI, ITIL, COBIT). სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი. [http://gtu.ge/book/gia\\_sueguladze/sainfo\\_sistemebi\\_BSI\\_ITIL\\_COBIT.pdf](http://gtu.ge/book/gia_sueguladze/sainfo_sistemebi_BSI_ITIL_COBIT.pdf)
2. ITIL moving towards Enterprise Architecture. (2007). <http://blogs.msdn.com/b/mikewalker/archive/2007/07/06/itil-moving-towards-enterprise-architecture.aspx?Redirected=true>.
3. COBIT: Framework for IT Governance and Control. (2012). <http://www.isaca.org/knowledge-center/cobit/Pages/Overview.aspx>. (გადამოწმ. 10.11.2014)
4. Booch G., Jacobson I., Rumbaugh J. Unified Modeling Language for Object-Oriented Development. Rational Software Corporation, Santa Clara, 2006
5. ე. თურქია, ნ. მოროზი, თ. ქაჩლიშვილი. (2014). ორგანიზაციებში საოპერაციო რისკების მართვის სრულყოფის ამოცანები და სტანდარტები. სტუ-ს შრ.კრ., „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, №1(17), გვ. 121-124
6. სურგულაძე გ., ბულია ი. (2012). კორპორაციულ Web-აპლიკაციათა ინტეგრაცია და დაპროექტება. სტუ. მონოგრ., ISBN 978-9941-20-165-3, თბილისი.
7. თურქია ე. (2012). ბიზნეს-პროექტების მართვის ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაცია. მონოგრ., სტუ. თბ., 2010.

### CORPORATE BUSINESS PROCESS MANAGEMENT BASED ON ITIL METHODOLOGY

Surguladze Gia, Turkia Ekaterine, Kachlishvili Tinatin, Pkhakadze Tsiuri  
Georgian Technical University

#### Summary

Article discusses business processes of IT-infrastructure management for financial institutions and their human, technical, financial and time resources and related issues. Problems of analysis of internal and external reporting system workflow are identified on the basis of new information technologies. The concept of software development of an application is proposed on the basis of use ITIL- methodology and principles of object-oriented, process-oriented and service-oriented architecture. For this purpose special UML diagrams have been designed for internal and external reporting of information reporting system for financial corporations. Corresponding information database systems and user interfaces have been constructed.

### УПРАВЛЕНИЕ БИЗНЕС-ПРОЦЕССАМИ ФИНАНСОВОЙ КОРПОРАЦИИ НА ОСНОВЕ ITIL МЕТОДОЛОГИИ

Сургуладзе Г., Туркия Е., Качлишвили Т., Пхакадзе Ц.,  
Грузинский Технический Университет

#### Резюме

Рассматриваются бизнес-процессы и связанные с ними вопросы управления IT-инфраструктурой для финансовых организаций, их людские, технические, финансовые и временные ресурсы. Выделяются задачи анализа системы делопроизводства внутренней и внешней отчетности на основе новых информационных технологий. Предлагается концепция разработки программного обеспечения указанного приложения на базе применения ITIL- методологии и принципов объектно-ориентированной, процесс-ориентированной и сервис-ориентированной архитектуры. С этой целью разработаны специальные UML диаграммы информационной системы репортинга для финансовых корпораций. Построены соответствующая информационная база данных системы и пользовательские интерфейсы.



## სამართლებრივ-საძიებო ავტომატიზებული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ოთარ შონია, იოსებ ქართველიშვილი, ლევან ყოლბაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია სახელმწიფო დაწესებულებებში და კერძო სტრუქტურებში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების მართვისა და საქმიანი პროცესების ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემის დაცვა, მისი ნორმალური პროცესის ფუნქციონირებაში შემთხვევითი და მიზანმიმართული ჩარევისაგან, ინფორმაციის მოპარვის მცდელობისაგან, მისი კომპონენტების მოდიფიცირებისა ან ფიზიკური განადგურებისაგან, სხვადასხვადა საგანგაშო ზემოქმედების განეიტრალების შესაძლებლობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები. სამართლებრივ-საძიებო ავტომატიზებული სისტემები. უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

### 1. შესავალი

უკანასკნელ ხანებში კომპიუტერულ ქსელებში (სადენიანი და უსადენო) უსაფრთხოება და მომსახურების ხარისხი უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტიური კვლევის საგანი გახდა, რისი მიზეზიც მონაცემთა პაკეტების გადაცემის მხარდაჭერის მზარდი მოთხოვნაა [1,2]. ადეკვატური უსაფრთხოების გარეშე ორგანიზაციები თავს აარიდებენ კომპიუტერულ ქსელების გამოყენებას.

უსაფრთხოების საკითხები კომპიუტერულ ქსელებში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ასეთი ქსელების ფართოდ ადაპტირების მიზნით. შესაბამისად, მსგავსი კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოება მნიშვნელოვანი სფეროა, რაც რეაგირებას მოითხოვს, თუკი ასეთი ქსელები ფართოდ იქნება გამოყენებული. აუცილებელია, რომ აღნიშნული სფეროს მკვლევარებმა მოახდინონ ღია პრობლემების იდენტიფიცირება და უზრუნველყონ შესაბამისი გადაწყვეტილებები ამ პრობლემებისთვის.

უსაფრთხოება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია კომპიუტერულ ქსელებისათვის, ვინაიდან გარემოში გავრცელებული საკომუნიკაციო სიგნალები ხელმისაწვდომია დასაჭერად. აქედან გამომდინარე, კომპანიებმა და ინდივიდუალურმა მომხმარებლებმა უნდა შეიცნონ პოტენციურად არსებული პრობლემები და მიიღონ შესაბამისი ზომები.

ნებისმიერ სისტემას, რომელსაც დაცვა სჭირდება, გააჩნია სისუსტეები ან ხარვეზები, რომელთა ნაწილს ან ყველას ერთად ამოირჩევს თავდამსმხმელი ობიექტად. შესაბამისად, სისტემის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნის ერთ-ერთი მიდგომაა იმ საფრთხეებისა და სავარაუდო თავდასხმების განხილვა, რომელთა წინაშე დგას სისტემა, იმის გათვალისწინებით, რომ სისტემას ხარვეზები გააჩნია. უსაფრთხოების მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს სისტემის უსაფრთხოება მოცემული საფრთხეების, თავდასხმებისა და ხარვეზების გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული ქსელების მარშრუტიზაციის ოქმები სპეციფიკაციებში არ განსაზღვრავს რაიმე სახის პრევენციულ ღონისძიებებს ან უსაფრთხოების მექანიზმებს. ამდენად, კომპიუტერული ქსელების მარშრუტიზაციის ოქმების უსაფრთხოება გადაუდებელ აუცილებლობად იქცა ქსელის გაშვების სტიმულირებისა და გამოყენების სფეროს გაფართოებისთვის.

## 2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო დაწესებულებებში და კერძო სტრუქტურებში სამართლებრივ-საძიებო ავტომატიზებული სისტემების ინფორმაციული რესურსების მართვის ეფექტური მექანიზმების შექმნა, შეუძლებელია ინფორმაციული უსაფრთხოების სამეცნიერო დასაბუთების და დაბალანსებული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების გარეშე.

ამ დაწესებულებებში ინახება და მუშავდება დიდი რაოდენობის სხვადასხვა მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო მათი საქმიანობის წარმართვასთან, არამედ სხვადასხვა კვლევითი და კონსტრუქციული პროექტების განხორციელებასთან, პერსონალის პირადი მონაცემების დაბუთებასთან, სახელმწიფო, კომერციული, პირადი და სხვა სახის კონფედერაციული ინფორმაციის შენახვასთან.

მაღალი ტექნოლოგიების სფეროში დანაშაულების ზრდამ განაპირობა მოთხოვნები სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სამართლებრივ-საძიებო სისტემების მიმართ გამოთვლითი ქსელების რესურსების დაცვის კუთხით. აქტუალური გახდა საკუთარი უსაფრთხოების სისტემის შექმნის აუცილებლობა, რაც გულისხმობს სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის არსებობას, უსაფრთხოების კონცეფციის ფორმირებას, სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას, უსაფრთხოების მიზნით პროცედურების დაგეგმვას, პროექტირებას, ინფორმაციის დასაცავი ტექნიკური საშუალებების რეალიზებას [3]. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სისტემური კომპონენტები განსაზღვრავს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ერთიან პოლიტიკას.

სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების სამართლებრივ-საძიებო სისტემაში ინფორმაციის დაცვის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეს დაწესებულებები ხასიათდებიან მუდმივად ცვალებადი პერსონალით, მომხმარებელთა ფართო წრით, საჭირო ინფორმაციის მიღების მსურველთა უზარმაზარი რაოდენობით და მათ შორის „დამწყები კიბერ კრიმინალების“ აქტიური ზრდით.


სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, როგორც ინფორმატიზაციის ობიექტი, გამოირჩევა მრავალპროფილური საქმიანობით, დაფინანსების წყაროს მრავალფეროვნებით, დამხმარე ქვედანაყოფებისა და სერვისების არსებობით (მშენებლობა, წარმოება, სამეურნეო საქმიანობა), საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მუდმივი ადაპტაციით, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზით, ზემდგომ ორგანიზაციებთან ელექტრონული ურთიერთქმედების აუცილებლობით, თანამშრომლებისა და მომხმარებელთა სტატუსების სწორი ცვალებადობით.

სამართლებრივ-საძიებო სისტემის უსაფრთხოების დაცვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს – ინფორმაციული გარემოს არქიტექტურა და ინფორმაციულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლებების მართვა. განვიხილოთ თითოეული დონის სტრუქტურა:

ინფორმაციული გარემოს არქიტექტურაში შედის - ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ-საძიებო სისტემის სერვისების საიმედო, უსაფრთხო და 24 საათიან რეჟიმში ფუნქციონირებას და საინფორმაციო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს ნებისმიერ ადგილიდან და ნებისმიერ დროს სამართლებრივ-საძიებო სისტემის საინფორმაციო რესურსებთან მარტივ და საიმედო წვდომას. სადენიანი ქსელური (კომუტატორები, მარშრუტიზატორები და ა.შ.) როუტერისა და კომუტატორების ადმინისტრირება, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც გარე ინტერნეტთან წვდომას, ასევე შიგა რესურსებთან კავშირს. შიგა კომპიუტერული ქსელის სამისამართო სისტემის მენეჯმენტი, შიგა ქსელის თვითოეული სეგმენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა როგორც გარე ასევე შიდა არასანქცირებული შეღწევისაგან. ასევე უსადენო ქსელური (უსადენო კომუტატორები და მარშრუტიზატორები) - უსადენო როუტერებისა და კომუტატორების ადმინისტრირება, რომლებიც უზრუნველყოფს ინტერნეტით კავშირს მოცილებული მომხმარებლებისათვის. უსადენო ქსელის სამისამართო

სისტემის მენეჯმენტი, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა. ასევე მნიშვნელოვანია სერვერების ადმინისტრირება, რომელზეც გაშვებულია ყველა საჭირო საინფორმაციო რესურსის გამართულად და შეუფერხებლად მუშაობისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ხდება სერვერების 24 საათიანი მონიტორინგი და ყველა შესაძლო ხარვეზის უმოკლეს დროში აღმოფხვრა და გასწორება. სერვერებზე დაყენებული პროგრამული უზრუნველყოფის პერიოდული განახლება, სარეზერვო კოპირება და დაცვა როგორც გარე, ასევე შიგა არასანქცირებული შეღწევისაგან.

შესაძლებელი რომ იყოს ინფორმაციაზე წვდომის კონტროლი, აუცილებელია როგორც აპარატურული, ისე პროგრამული საშუალებების ეფექტურად ფუნქციონირება. 1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა იყოს გამართული ინფორმაციული ინფრასტრუქტურა სხვადასხვა ორგანიზაციებში, აპარატურული და პროგრამული საშუალებების ნაკრების გამოყენებით.



ნახ.1. საინფორმაციო რესურსებისა და სხვადასხვა სერვისების მხარდაჭერის სტრუქტურა

მოკლედ დავახასიათოთ საინფორმაციო რესურსების სტრუქტურაში გამოყენებული თითოეული კომპონენტი:

- Proxy სერვისი – სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების ლოკალურ ქსელში არასანქცირებული ვებგვერდების ფილტრაცია „transparent proxy“ ტექნოლოგიით, მისი ადმინისტრირება და გამართული მუშაობა;
- E-mail სერვისი - თანამშრომლებისა და მომხმარებლების ელ-საფოსტო სერვისის ადმინისტრირება და გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა. ელ-საფოსტო დაგზავნის სიების შექმნა, მათი განახლება და მხარდაჭერა.

- DNS სერვისი - დომენური სახელების (პირველადი და მეორადი) ადმინისტრირება და გამართული მუშაობა;

- Web სერვისი - კუთვნილ დომენურ სახელებზე დაფუძნებული ვებგვერდების უსაფრთხოება, ადმინისტრირება და გამართული ფუნქციონირება;

- მონაცემთა ბაზები - ვებგვერდებისათვის საჭირო SQL მონაცემთა ბაზების უსაფრთხოება, ადმინისტრირება და გამართული ფუნქციონირება;

- File სერვისი - SFTP და ფაილური სერვერის ადმინისტრირება და მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- სარეზერვო კოპირება - სერვერებზე არსებული ვებგვერდების, ფაილების, მონაცემთა ბაზების პერიოდული სარეზერვო კოპირების უზრუნველყოფა;

სამართლებრივ-საძიებო სისტემის უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდია ინფორმაციულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლებების მართვა. როგორც წესი, გამოიყენება რამდენიმე პროგრამული პროდუქტი და ინფორმაციული სისტემა. თითოეულს გააჩნია რეგისტრაციის და უფლებების ადმინისტრირების საკუთარი სისტემა. ასეთი სისტემების მართვისთვის აუცილებელია ე.წ. ადმინისტრატორები, რომელთა ფუნქციაა მომხმარებლის კატეგორიისა და მათი უფლებების განსაზღვრა.

სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სამართლებრივ-საძიებო ინფორმაციულ სისტემაზე წვდომის უფლება ეძლევათ, როგორც თანამშრომლებს ასევე სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირებს. მათი რაოდენობა მუდმივად ცვალებადია, შესაბამისად, იქმნება ინფორმაციულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლებების მართვის ავტომატიზაციის აუცილებლობა.

ქსელის დაუცველობა „ხაკერს“ აძლევს პოტენციურ საშუალებას არასანქცირებული წვდომისა და ფალსიფიკაციის. საკვლევ სისტემაში უსაფრთხოების დასაცავად გამოყენებულია AAA (Authentication, Authorization, and Accounting) პროტოკოლი, რომელიც ახორციელებს ქსელის მომხმარებლის აუტენტიფიკაციის, ავტორიზაციისა და აღრიცხვის შესაძლებლობას.

1. აუტენტიფიკაცია - ითხოვს პიროვნებისგან დამტკიცებას, რომ ის ნამდვილად წარმოადგენს ქსელის მომხმარებელს (მაგალითად: მომხმარებლის სახელის და პაროლის შეყვანა);

2. ავტორიზაცია - აუტენტიფიკაციის შემდეგ, ავტორიზაცია იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ რესურსზე აქვს წვდომის უფლება მომხმარებელს და რომელი მოქმედებების შესრულებაა ნებადართული;

